საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 1940 წ. — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო — № 33 (156) ფასი 30 კაპ.

მწერალთა საქალაქო კრების შედეგებისათვის

Საბჭოთა ლიტერატურა — მასების კომუნისტურად აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, ის თავისი მხატვრული შემოქმედების ძალით, თავისი მხატვრული პათოსით აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ახალი ფსიქოლოგიის, კომუნისტური მორალის განმტკიცების საქმეში; ის მოწოდებულია მოწინავე საბჭოთა პატრიოტებთან, საბჭოთა ხალხთან ერთად იბრძოლოს კაპიტალიზმის ნაშთების დასამლევად ადამიანის შეგნებაში. იმისათვის, რომ აღზარდო მკითხველი კომუნისტური სულისკვეთებით, განამტკიცო მის არსებაში სამშობლოსადმი სიყვარულის და თავდადების გრძნობა — საჭიროა თვით მწერალი იყოს უაღრესად მოწინავე საბჭოთა მოქალაქე, მოწინავე მუშაკი საზოგადოებრივ ასპარეზზე, მას უნდა შეეძლოს ყოველი თავისი ნაბიჯი დაუკავშიროს ჩვენი ბრძოლის საბოლოო მიზნებს. ეს არის ტიპი საბჭოთა მწერლისა, რომლის ფორმირება ჩვენს სინამდვილეში უკვე თვალსაჩინო ფაქტს წარმოადგენს. ჩვენი მწერლობა — შედარებით წინა წლებთან — გაიზარდა, განმტკიცდა, ჩვენმა პოეტებმა და ბელეტრისტებმა შექმნეს რომანები და პოემები, ახალი ნაწარმოებები, რომელნიც ყურადღებას იქცევენ და მაღალ შეფასებას იმსახურებენ არა მარტო საქართველოში, არამედ საკავშირო მაშტაბით. ჩვენი მწერლები ცნობილი და პოპულარული ხდებიან ჩვენი სამშობლოს მრავალმილიონიან მასებში სწორედ იმიტომ, რომ მათ შესძლეს ჩასწვდომოდნენ საბჭოთა ხალხის უგულითადეს მისწრაფებებს, გამოეხატათ მისი უღრმესი სიყვარული ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი **სტალინისადმი.** ამ თემაზე მუშაობა საპატიო საქმეა, ღირსების საქმეა სწორედ იმიტომ, რომ ის ემსახურება საბჭოთა პატრიოტიზმის განმტკიცების საქმეს, ის იდეურად ზრდის მკითხველს, ის ამაღლებს თვით მწერლის შეგნებასაც.

მაგრამ ეს ზრდის პროცესი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უკვე განვთავისუფლდით. ყველა მახინჯი ტრადიციის ნაშთისა და ყველა ნაკლოვანებისაგან. ჩვენს მწერალთა შორის არა იშვიათად იჩენს თავს ინდივიდუალისტური მიდრეკილებანი, გულგრილი მიდგომა და უხალისობა აღებული თემისადმი, თავის გაზვიადება. ყველა ეს ნაკლოვანებანი თავის გამოვლენას ჰპოულობენ მწერალთა არა მარტო პირად ცხოვრებაში, არამედ შემოქმედებით პროდუქციაშიაც. ეს ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ საკმაოდ იგრძნობა და ისინი ხელს უშლიან ჩვენი ლიტერატურის წინმსვლელობის საქმეს.

ქართული საბჭოთა მწერლობის იდეურ-მხატვრული ხარისხის ამაღლების, ჩვენი ლიტერატურის გაჯანსაღების, ჩვენი მწერალთა კადრის აღზრდის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის საქალაქო კრება, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირში ამ უკანასკნელ ხანში ჩატარდა. კრებამ ნათელჰყო, რომ კრიტიკის ფრონტი ამ უკანასკნელ წლებში უგულებელყოფილი და დაჩრდილულია, მაღალხარისხოვანი და პრინციპული სალიტერატურო კრიტიკა ხშირ შემთხვევაში შესცვალა გადაჭარბებულმა ხოტბამ და დიდებამ. ამ წრე-გადასულმა ქება — დიდებამ ზიანის მეტი არაფერი არ მოიტანა. ამან შექმნა ისეთი სიტუაცია. რომ კარგიც და ავიც ერთნაირად ფასდებოდა, ორივე ერთნაირი იარლიკით შეჰქონდათ „ლიტერატურის ოქროს ფონდში". ხშირ შემთხვევაში კრიტიკოსი თვალსა ჰხუჭავდა ამა თუ იმ ნაწარმოების ნაკლოვანებაზე და აზვიადებდა მის დადებით მხარეებს. ლიტერატურული კონტროლის ამ შესუსტებამ ხელი შეუწყო იმ უარყოფით მოვლენას, რომ ჩვენში მომრავლდა სუსტი, უფერული წიგნების რიცხვი. საქალაქო კრებაზე ამისი შემთხვევები საკმაოდ იქნა დასახელებული, რომელნიც იმასა მოწმობენ, რომ ბევრი ჩვენი მწერალი ჩამორჩა თანამედროვე ცხოვრებას. ამ ჩამორჩენამ არა ერთი მხატვრული მარცხი გამოიწვია.

უფერულობა ხშირად თავს იჩენს ხოლმე მაშინაც, როცა მწერალი ახალი ადამიანის თემას ეხება და ახალი ცხოვრების გამოსახვას ცდილობს. ახალი ადამიანის ნაცვლად ხშირად ხელში გვრჩება მოსიარულე და ყალბი პათოსით ამეტყველებული სქემა, რომელსაც აკლია ნამდვილი ადამიანური სითბო და სისადავე.

აღნიშნა თუ არა ჩვენმა კრიტიკამ რომ ეს იყო ჩამორჩენის მაჩვენებლები ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების წინსვლის ფონზე?

არა, კრიტიკას ეს არ აღუნიშნავს.

კრიტიკას აქტიურად არ უბრძოლნია იმისათვის, რომ ჩვენი მწერლობის ყურადღების ცენტრში თანამედროვეობა მოქცეულიყო. ცხადია, საჭიროა ისტორიულ თემებზე წერა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს გულგრილად გვერდი ავუხვიოთ თანამედროვე ცხოვრების უხვ მასალას. ჩვენ გვინდა მწერლობა, რომელიც მაღალ მხატვრულად უნდა ასახავდეს ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს გმირული ბრძოლისა და ცხოვრების საკითხებს. მთელი ჩვენი სამწერლო მუშაობა, ჩვენი შემოქმედება უნდა შევუფარდოთ მკითხველის ინტერესს, მკითხველის მოთხოვნილებას. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოთა მწერალი მოგვცემს ჩვენი ცხოვრების მთავარი და წამყვანი ადამიანის — ახალი ადამიანის სრულყოფილ სახეს.

საქალაქო კრებამ განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მწერლების აღზრდის საკითხს. ჩვენ არა ერთხელ მივუთითებდით, რომ ახალგაზრდა მწერლების აღზრდის საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის. მრავალი ახალგაზრდა პოეტი თავის შემოქმედებაში მიდის უიოლესი წინააღმდეგობის გზით, ექცევა უკვე გარდასული და მკითხველის მიერ საფუძვლიანად დავიწყებული დეკადენტური ლიტერატურის სკოლების ზეგავლენის ქვეშ; უიდეო, სიმბოლისტური ლირიკის ბლდღენის და გაცოცხლების ტენდენციები საკმაოდ მკაფიოდ სჩანს არა ერთი ახალგაზრდა მწერლის ლექსებში. ეს ყველაფერი აიხსნება იმით, რომ ჩვენ ნაკლებად ვზრუნავთ ახალგაზრდა მწერლების იდეურ აღზრდაზე, ბოლშევიკურ გამოწრთობაზე.

ამ ნაკლოვანებას აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს.

მთელი ჩვენი ლიტერატურის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ გაძლიერებული იქნას ნამდვილი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაძლიერებული იქნას საზოგადოებრივი კონტროლი მწერლის შემოქმედებითი პროდუქციის მიმართ. საბჭოთა მწერალი უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა სწერდეს თვითეულ სტრიქონს და კრიტიკოსიც ამავე პასუხისმგებლობით უნდა უდგებოდეს მისი შეფასების საქმეს. გაბედული, პრინციპული, თანმიმდევრული, მაღალი ინტელექტუალური დონის კრიტიკის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ თანამედროვე ლიტერატურაში ჩამორჩენილობის ტენდენციებისა და მახინჯი მოვლენების ნაშთების აღკვეთას.

მთელი მუშაობა მწერალთა კავშირისა ისე უნდა იქნას აგებული, რომ ყურადღების ცენტრში მოექცეს მწერალთა კადრების იდეურ-მხატვრული აღზრდა, ღრმა პოლიტიკური და თეორიული განათლება. მთელი ჩვენი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ცხოვრება ამ მისწრაფებით უნდა განიმსჭვალოს. მწერალი, რომელიც არ არის შეიარაღებული მარქსისტულ-ლენინური თეორიის მსოფლმხედველობით — ის უმწეოა, ის ვერ შესძლებს ასახოს ცოცხალი ცხოვრება მთელ მის სირთულესა და მრავალფეროვნებაში.

აქედან ცხადია, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა საფუძვლიანად დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას, შევისწავლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, შევისწავლოთ ის პირველ წყაროების მიხედვით, შევისწავლოთ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მიხედვით, დავეუფლოთ ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას, რომელიც თვალწინ გვიშლის ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის მთელ სურათს. ეს არის ჭეშმარიტი გზა ჩვენი წინსვლის, ჩვენი ლიტერატურის უფრო მაღალი აყვავებისათვის, უფრო მძლავრი აღმავლობისათვის.

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო

შაბათს, 23 ნოემბერს, **ლ. ბერიას** სახელობის კულტურის სახლში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო.

მოხსენება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ გააკეთა **შალვა რადიანმა.** მომხსენებელმა დაახასიათა გალ. ტაბიძის პოეტური განვითარების მთელი გზა, განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდა უკანასკნელი დროის ლექსებზე, დასასრულ შეეხო გალ. ტაბიძეს, როგორც ლექსის შესანიშნავ ოსტატს.

სიტყვებით და ლექსებით გამოვიდნენ **ვ. გორგაძე, მარ. მიქელაძე, კ. ბობოხიძე, მ. გარიყული, ს. ხიდისთაველი, ა. თევზაძე.**

განსაკუთრებული წარმატება ხვდა სახალხო პოეტს **გალაკტიონ ტაბიძეს,** რომელმაც დიდის აღფრთოვანებით და ოსტატობით წაიკითხა რამდენიმე ლექსი.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი საკონცერტო განყოფილება.

საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

დაბადებიდან 120 წლისთავის შესრულების გამო

ფრ. ენგელსი და მხატვრული ლიტერატურა

კაცობრიობის ისტორიაში პირველად **მარქსმა** და **ენგელსმა** აღმოაჩინეს ადამიანთა საზოგადოების განვითარების მეცნიერული კანონები. მათი მოძღვრების სახით მსოფლიო პროლეტარიატმა იპოვა თავისი ბრძოლისა და განთავისუფლების უძლიერესი სულიერი იარაღი — მეცნიერული კომუნიზმის მსოფლმხედველობა, იპოვა ფოლადისებური სიმტკიცით აგებული სისტემა, რომელშიაც უმაღლესი მეცნიერულობა განუყრელია თანამიმდევრულ და შეურიგებელ პროლეტარულ რევოლუციონერობისაგან. მარქსისათვის, ისევე, როგორც ენგელსისათვის, მეცნიერება ისტორიულად მამოძრავებელი, რევოლუციური ძალა იყო. მხოლოდ ამით გახდა შესაძლებელი მოეხდინათ მათ შეგნებული ზემოქმედება ისტორიულ პროცესის მიმართულებაზე. ამით გახდა შესაძლებელი დაწყებულიყო ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, ბრძოლა, რომელიც უბრწყინვალესი გამარჯვებით დააგვირგვინეს **ლენინმა** და **სტალინმა.**

შეუდრეკელმა, დაუცხრომელმა, უშიშარმა ადამიანებმა — მარქსმა და ენგელსმა პირველებმა ააფრიალეს მთელს მსოფლიოში მუშათა კლასის განთავისუფლების დროშა. ეს გენიალური ადამიანები თავის სიჭაბუკის წლებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მსოფლიო მუშათა კლასის მოძრაობის სათავეში იდგნენ, სათავეში ედგნენ მოწინავე კაცობრიობის აზროვნებას. მარქსმა და ენგელსმა ღრმა მეცნიერული, რევოლუციური პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვაზე, რომელიც ცხოვრების პრაქტიკამ წამოაყენა. მათი მოძღვრების ყოველმხრივი სისწორე სავსებით დაადასტურა ხანგრძლივმა ისტორიულმა პრაქტიკამ, მუშათა კლასის ბრძოლის გმირულმა ისტორიამ მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლების მეორე ნახევრიდან დღევანდლამდე.

მარქსი და ენგელსი ხელოვნების ურთულეს საკითხებს პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის პერსპექტივაში იხილავდნენ. მათ ნათელი შუქი მოჰფინეს მხატვრული შემოქმედების მრავალსაუკუნოვან ისტორიას, რომელსაც ფილოსოფიური იდეალისტები და სპირიტუალისტები ათასი წლების განმავლობაში მისტიურ ბურუსში ჰხვევდნენ. არ არსებობს არც ერთი კარდინალური და საკვანძო საკითხი მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში, დაწყებული მხატვრული შემოქმედების პირვანდელი წარმოშობით, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიური საბერძნეთის ლიტერატურის ეპოქით და გათავებული მომავლის კომუნისტური საზოგადოების ხელოვნებით, რომელზედაც მათ ამომწურავი და მეცნიერებისათვის სწორი გზის მაჩვენებელი პასუხი არ გაეცეთ. და ხელოვნების თანამედროვე მკვლევარისათვის არ მოიძებნება უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე მარქსიზმის კლასიკოსების ამ გენიალური აზრების შესწავლა და მათი მკვეთრად მომარჯვება ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიის კვლევის საქმეში.

ფრიდრიხ ენგელსი სიყმაწვილეშივე გატაცებული იყო ხელოვნებისა და ლიტერატურის შესწავლით. ცხრამეტი-ოცი წლის ასაკში ენგელსი სწერს საუცხოო წერილებს ლიტერატურის შესახებ, რომელნიც ამჟღავნებენ ავტორის უაღრესად დიდ ერუდიციას და ფაქიზ ლიტერატურულ გემოვნებას. სწორედ ამ ხანებს ეკუთვნის ფრ. ენგელსის წერილები „კარლ ბეკი" (1839 წ.), „პლატენი" (1840 წ.), „ზიგფრიდის სამშობლო" (1840 წ.) და სხვები. ამ წერილებში უკვე ცხადად სჩანს გენიალური, ნათელი გონება, სჩანს ადამიანი, რომელიც მთელი არსებით გატაცებულია თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილით. ამ თვალსაზრისით იხილავს ახალგაზრდა ენგელსი გერმანიის ხალხის მდიდარ ლიტერატურულ წარსულს. ძველი ლიტერატურის ძეგლებში, რომელნიც ხალხმა შექმნა, ის გამოჰყოფს ხალხის უკვდავ და მარად ცოცხალ ოცნებას თავისუფლების შესახებ. „რა გვიტაცებს ჩვენ ასე ძლიერად ზიგფრიდის თქმულებაში?—სწერდა ოცი წლის ენგელსი.—...ჩვენ ყველა ვგრძნობთ გამარჯვების იმავე წყურვილს, იმავე აჯანყებას ტრადიციის წინააღმდეგ, რომელმაც გამოაგდო ზიგფრიდი თავის მამის ციხე-კოშკიდან; ჩვენთვის უსაზღვროდ საძულველია მარადიული მერყეობა, ფილისტერული შიში ახალი საქმის წინაშე, ჩვენ გვინდა გამოვიდეთ თავისუფალი ქვეყნის სივრცეზე... და ვიბრძოლოთ სიცოცხლის გვირგვინის — გამარჯვებისათვის". ამ ბრძოლაში, რომლისთვისაც ენგელსი ემზადებოდა, მას შთააგონებს თავისი ხალხის გმირული თქმულება, უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ ასპექტში აინტერესებს ენგელსს ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია.

ფრ. ენგელსმა უკვე იმ დროინდელ წერილებში გამოაამჟღავნა თავისი სიყვარული კლასიკური რეალიზმის ოსტატების შემოქმედებისადმი. ენგელსი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ყველაფერი დიადი ხელოვნებაში ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა ხელოვანი აღწევს ხალხურობას, როცა ის ამ გზით მიდის. რეაქციული იდეოლოგია, ბურჟუაზიული ეგოცენტრიზმი არასოდეს არ ჰქმნიდა დიად ხელოვნებას. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ენგელსის წერილი კარლ ბეკის შესახებ. ამ წერილში ენგელსმა მოგვცა გამანადგურებელი კრიტიკა იმ პოეზიისა, რომელიც ისწრაფვის რა „მიღმა ქვეყნისაკენ" სწყდება ცოცხალ ცხოვრებას, სწყდება სინამდვილეს.

ფრ. ენგელსის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წერილებს და ცალკე მოსაზრებებს კლასიკური რეალიზმის ცხოველმყოფელი ძლიერების შესახებ. ენგელსმა ნათლად გაარკვია, რომ რეალისტურ მხატვრულ შემოქმედებას ძალა შესწევს იმისათვის, რომ მხარში ამოუდგეს მეცნიერებას და მასთან ერთად, მასთან კავშირში კაცობრიობის აზრი ფართო, ნათელ გზაზე გამოიყვანოს. რეალიზმის ეს აქტიურობა და ბრძოლის უნარი, კაპიტალიზმისაგან ყველა და ყოველგვარი ნილაბის ჩამოგლეჯის უნარი ენგელსს ხელოვნების უდიდეს ღირსებად მიაჩნია. ამ მხრივ ის, ისევე, როგორც მარქსი, განსაკუთრებით აფასებდა ბალზაკის შემოქმედებას. ენგელსი სწერდა: „ბალზაკი, რომელიც მე ვაცილებით უფრო დიდ მხატვარ რეალისტად მიმაჩნია, ვიდრე წარსულის, აწმყოსა და მყობადის ყველა ზოლა, თავის „ადამიანურ კომედიაში" გვაძლევს საფრანგეთის „საზოგადოების" ყველაზე უფრო შესანიშნავ რეალისტურ ისტორიას, აგვიწერს რა ქრონიკის სახით ზნეჩვეულებებს წლიდან-წლამდე, დაწყებული 1816-1848-მდე, როცა აღმავალი ბურჟუაზია სულ მეტის და მეტის სიძლიერით აწვებოდა ქედს თავადაზნაურულ საზოგადოებას, რომელმაც 1815 წ. შემდეგ ისევ წამოიწია, გასწორდა და, რამდენადაც კი შეიძლებოდა, აღადგინა ძველი ფრანგული პოლიტიკის დროშა. ის ასწერს თუ როგორ დაღუპა ან როგორ გარყვნა თანდათან მისთვის სანიმუშო საზოგადოების უკანასკნელი ნაშთები ვულგარული ფულიანი მეტიჩარას შემოტევამ; თუ როგორ მოხდა, რომ Grand dam - ამ. რომლის ცოლქმრული ღალატი იყო მხოლოდ თავდასაცავი საშუალება და ეს ღალატი სავსებით შეეფერებოდა მისდამი მიკუთვნებულ მდგომარეობას ცოლქმრობაში, თუ როგორ დაუთმო მან ადგილი ბურჟუა დედაკაცს, რომელიც ფულისათვის ან ჩაცმა-დახურვისათვის იძენს ქმარს, ამ ცენტრალური სურათის ირგვლივ ის აგროვებს საფრანგეთის საზოგადოების მთელ ისტორიას, საიდანაც ეკონომიური დეტალების მხრივაც კი უფრო მეტი გავიგე (მაგალითად, გადაჯგუფება რეალური და პირადი საკუთრებისა რევოლუციის შემდეგ), ვიდრე იმ პერიოდის ყველა პროფესიონალ ისტორიკოსების, ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების ყველა წიგნიდან".

ამრიგად, ბალზაკის რეალისტური შემოქმედება ცხოველმყოფელი მატიანეა თავისი დროისა.

ცხოვრების ამ გაბედულ, მართალ ასახვას აფასებდნენ მარქსი და ენგელსი, როგორც რეალიზმის უპირველეს ღირსებას.

ამავე ასპექტში განიხილეს მარქსმა და ენგელსმა ლასალის ისტორიული ტრაგედია „ფრანც ფონ ზიკინგენი". სწორედ ამ პიესის განხილვის დროს წამოიჭრა საკითხი შექსპირისა და შილერის შემოქმედებითი მეთოდების პრინციპული სხვაობის შესახებ. რეალიზმის მარქსისტული ახსნის შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მარქსმა და ენგელსმა შექსპირისებური რეალისტური შემეცნება მაღლა დააყენეს იმ სუბიექტურ-იდეალისტურ მეთოდზე, რომელსაც შილერი გაჰყვა თავის გვიანდელი ხანის ნაწარმოებებში. შილერისათვის შემოქმედების გვიანდელ პერიოდში ნაწარმოების გმირი სუბიექტურ-განყენებული იდეის რუპორი იყო. ასე როდი იყო შექსპირთან. მარქსი და ენგელსი მას უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდნენ სწორედ იმიტომ, რომ გენიალურმა ინგლისელმა დრამატურგმა მოგვცა ცოცხალი ადამიანური ვნებების, კონკრეტული ადამიანების უაღრესად სწორი, ფსიქოლოგიურად მართალი გამოხატვა, მოგვცა მთელი ეპოქა, გამოკვეთილი ადამიანურ ხასიათებსა და პორტრეტებში.

ფრ. ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მხატვრულ შემოქმედებაში ტენდენციურობის უარყოფა შეუძლებელია. ტენდენციური იყვნენო, — ამბობდა ის — ტრაგედიის მამა ესქილეც და კომედიის მამა არისტოფანიც, ისევე, როგორც დანტე და სერვანტესი. „თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც სწერენ საუცხოო რომანებს, ყველა მთლიანად ტენდენციური არიან", მაგრამ ენგელსი ებრძოდა ზერელე ტენდენციურობას, რომელსაც რეალიზმი ვერ მოითმენს, რომელიც თავისთავად არ გამომდინარეობს ნაწარმოების მხატვრული სისტემიდან.

კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის წერილებში ლიტერატურის შესახებ მოცემულია მწყობრი მონოლიტური სისტემა ახალი ესთეტიკისა, თვით ცნობილი განსაზღვრა რეალიზმისა, რომელიც დღეს საფუძვლად უდევს ჩვენი ლიტერატურის შექმნის პროცესს და რომლის მიხედვითაც რეალიზმი, დეტალების სისწორის გარდა, ჰგულისხმობს ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორ გადმოცემას— ფრ. ენგელსმა შეიმუშავა და დაადგინა კაცობრიობის სულიერი კულტურის მემკვიდრეობის ღრმა შესწავლის შედეგად.

კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა მოგვცეს გასაოცრად ზუსტი პროგნოზი მუშათა კლასის ისტორიული მისიის, სოციალიზმის და კომუნიზმის ეპოქების ლიტერატურის შესახებ.

მარქსი და ენგელსი არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ კაპიტალიზმი ხელოვნების დაუძინებელი მტერია და ხელოვნება აყვავების ყველაზე მაღალ მწვერვალს მაშინ მიაღწევს, როცა კაცობრიობა დაამსხვრევს კაპიტალისტური ჩაგვრის ბორკილებს და როცა კაცობრიობის ახალი ისტორია დაიწყება.

როგორც საერთოდ, ისე ხელოვნების თეორიაშიც, მარქსიზმი განავითარეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს **ლენინმა** და **სტალინმა.** ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს მტკიცე და საბოლოოდ დადგენილი სოციალისტური ესთეტიკა, ხელოვნების სოციალისტური თეორია. ეს თეორია აშუქებს გზას ჩვენი სოციალისტური ხელოვნების მხატვრული პრაქტიკისას, რომლის უმაგალითო ზრდისა და წინსვლისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყოველგვარი პირობა.

ვ. ნატროშვილი

სტალინის პირველად ჩასვლა ბათუმში

პოემიდან „ხაშიმ სმირბა"

მიწას კუპრი დასწოლია, ქარი ხეებს ცელავს,
ელვა აფრქვევს ნაპერწკლებს, ხან ხმალივით ელავს,

ხანაც ცაზე გაებმება აბრეშუმის ძაფად,
ზღვა ბობოქრობს და იღვრება ნაპირებზე ქაფად.

არავინ სჩანს. ცხოველებსაც მოუნახავთ ხვრელი,
უცებ გრგვინვა გადაირბენს ერუანტელის მგვრელი.

და ვით მწიფე ბროწეული, იბზარება ცაცა,
ძოწეულად შეიცვლება წამით ღამის ძაძა.

შეირყევა დედამიწა. ქარი გაშლის ფაფარს
და კივილით მოედება ქალაქს ბნელით ნაფარს.

გლეჯს და ლეწავს ხეთა ტოტებს, ეხეთქება უკუნს,
მთების იქით გადაიტანს გაშმაგებულ გუგუნს.

მერმე ისევ მოვარდება მოელვარე ხმლითა
ცა უეცრად დაიჭექებს საოცარი ხმითა.

ამდროს კაცი გამოჩნდება, გზას უნათებს ელვა,
თითქოს შობა ქარიშხალმა, ზღვის მქუხარე ღელვამ.

თითქოს თვითონ იყოს ელვა, თვითონ იყოს ქარი,
თითქოს თვითონ ანათებდეს ღამეს, როგორც კვარი.

თითქოს იმის ნაბდის ზეწვებს ედებოდეს ალი,
თითქოს ქუხილს წინ უძღოდეს სურვილ-დაუმცხრალი,

მიწას ხანძარს უკიდებდეს ამირანის ცეცხლით,
ჩელვებდეს ბნელში მახვილს ტარმოჭედილს ვერცხლით.

რომ ხალხს, ტანჯვით ღონემიხდილს, მტრებისაგან ნათელს,
აწი მაინც თავისუფლად მზე აფრქვევდეს ნათელს.

რომ მშრომელი ცხოვრების ხეს სხვებისთვის არ რგავდეს,
ქედი აღარ მოეხაროს, ადამიანს ჰგავდეს.

რომ სიცოცხლე უხაროდეს, ჰქონდეს გული ლაღი,
ეს ქვეყანა იყოს მარად ერთი დიდი ბაღი.

სიყვარულით ცას გაეხსნას ქალწულივით უბე
და ამოშრეს, არსად იდგეს, კვლავ ცრემლების გუბე.

ქარიშხალი მიწას არყევს. ისევ ქუხს და გრგვინავს.
ზღვა ბობოქრობს, ხანაც თითქოს დაჭრილივით გმინავს.

ელვა ღამეს შემოარტყამს კიდევ ცეცხლის გრეხილს,
ცა იჭექებს და ჭახჭახით გავარდება მეხი.

და მიწყდება ქუხილის ხმა სადღაც, ულრან ტყეში,
თან თქაფუნით უეცარი მოვა წვიმის თქეში.

ცა და მიწა შეერთდება უთვალავი ძაფით,
მოვარდება ნიაღვარი, რაშზე უფრო სწრაფი.

გადალახავს მთებს და ბორცვებს, ბარსაც დაჰკრავს ტორებს,
დაეცემა თავზე ზათქით გუბეებს და ტბორებს.

ბოლოს შუქი აჭარის მთებს გაანათებს უცებ,
წვიმა წყდება. ზღვასაც გული ახლა, ვით ბავშს, უცემს.

გარიჟრაჟი გადმოაფრქვევს სხივებს მოკამკამეს:
ეს სინათლე ერთ კაცს მოჰყვა ერთ ნოემბრის ღამეს.

რაჟდენ გვეტაძე

„დემონის" ახალი თარგმანი

ახლოვდება დიდი რუსი პოეტის მ. ლერმონტოვის ტრაგიკული დაღუპვის ასი წლისთავი. მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს მზადება ამ თარიღის აღსანიშნავად. კერძოდ, ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან ქართველი პოეტები ლერმონტოვის ლირიკის და ეპიური ნაწარმოებების გადმოსათარგმნად.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილმა ქართველმა პოეტებმა სთარგმნეს ლერმონტოვის ისეთი პოემები, როგორიც არის „მწირი", „დემონი" და „ჰაჯი აბრეკი". ქართველ პოეტებს განსაკუთრებით აინტერესებდათ „დემონის" ქართულად თარგმნა. პირველად იგი თარგმნა მამია გურიელმა, შემდეგ ვაჟა-ფშაველამაც სცადა მისი გადმოქართულება. გასულ წელს გამოვიდა ამ პოემის ერთი არა პროფესიონალი მწერლის თარგმანიც, მაგრამ იგი ულმობიერეს კრიტიკასაც ვერ უძლებს. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ უკანასკნელად ამ საქმეს ხელი მოჰკიდა კონსტ. ჭიჭინაძემ. მკითხველი და ლიტერატურული საზოგადოებრიობა მას იცნობს, როგორც ლექსის თარგმნის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატს. ამიტომ ბუნებრივია და გასაგები ის ინტერესი, რომლითაც მკითხველი და ლიტერატურული საზოგადოებრიობა შეხვდა ჭიჭინაძის მიერ თარგმნილი „დემონის" წაკითხვას, რომელიც მოაწყო პოეზიისა და მთარგმნელების სექციამ 25 ნოემბერს მწერალთა კლუბში.

კითხვას მოკლე შესავალი სიტყვა წაუმძღვარა ს. ჩიქოვანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სექციები ლერმონტოვის იუბილეს მზადებასთან დაკავშირებით მოწოდებული არიან საფუძვლიანად შეისწავლონ და დაკვირვებით გაარჩიონ ლერმონტოვის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოების თარგმანები ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი ცალკე წიგნებად ან ჟურნალებში გამოქვეყნდებოდნენო. კითხვის დაწყებამდე თვით კ. ჭიჭინაძემ ილაპარაკა იმ დაბრკოლებებზე, და ზოგჯერ დაუძლეველ სიძნელეებზე, რომელნიც წინ ეღობებიან მთარგმნელს ისეთი რთული პოემის თარგმნის დროს, როგორიც არის „დემონი". სადაც ვერ შეხვდებით ვერც ერთ ზედმეტ სიტყვას და ცარიელ ადგილს.

კ. ჭიჭინაძის მიერ თარგმნილი და მის მიერვე წაკითხული „დემონი" დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი და გარჩეული. თარგმანის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბაზილიამ, ლევან ასათიანმა, ვასო გორგაძემ, რ. გვეტაძემ, ალ. ქუთათელმა, ვ. წულუკიძემ, ა. გაწერელიამ, პლ. კეშელავამ, ბ. ჟღენტმა, გერ. ქიქოძემ, ი. აბაშიძემ, ს. ჩიქოვანმა. ზოგიერთი ამ ამხანაგთაგანი პოემის თარგმანის კითხვის პროცესში ადარებდა თარგმანს ორიგინალს. ამიტომ ამ ამხანაგების გამოსვლა უფრო საფუძვლიანი და საქმიანი იყო. ის შენიშვნები, რომელნიც მთარგმნელს მისცეს ლ. ასათიანმა. ვ. გორგაძემ და სხვებმა, ზოგჯერ სავსებით მისაღები და ანგარიშგასაწევია. ამ შენიშვნების და მითითებების მიხედვით მთარგმნელს მოუხდება ზოგიერთი ადგილის გადამუშავება. საერთოდ კი თარგმანი აკმაყოფილებს უმკაცრეს მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება წარედგინოს ქართული ლექსით თარგმნილ მხატვრულ ნაწარმოებს. ბევრ ადგილს თარგმანი დედნის სიძლიერეს აღწევს და ისმის როგორც შესანიშნავი ქართული ლექსით დაწერილი ნაწარმოები, სადაც დაცულია ქართული ფრაზის ბუნებრივი წყობა და ლექსისათვის მსხვერპლად მიტანილი არ არის ქართული ენის სიწმინდე. თარგმანში გადმოტანილია დედნის მეტრი და რიტმი, რითმების თანმიმდევრობა და გამოსახვითი ხერხები. მხოლოდ ერთი მომენტი არა აქვს დაცული მთარგმნელს. თარგმანის სტრიქონთა რაოდენობა სჭარბობს დედნისას, მაგრამ, როგორც მთარგმნელმა აღნიშნა, ეს აუცილებლობით არის გამოწვეული და არ არღვევს პოემის საერთო სტილსა და ხასიათს, რადგან, როგორც ცნობილია, „დემონს" არა აქვს გარკვეული სტროფული აღნაგობა.

1915 აკაკი წერეთელი 1940

მოგონება აკაკი წერეთელზე*

ილია ზურაბიშვილი

დიდ ჯარად თავმოყრილ საზოგადოებაში ილია ჭავჭავაძის პოვნა თუ არც აგრერიგად ადვილი იყო, სამაგიეროდ, აკაკის მაშინვე, ერთი თვალის გადავლებით შენიშნავდით.

მეტის-მეტად იმპოზანტური ფიგურა ჰქონდა, ნამდვილი სასკულპტურო.

მარტო იმიტომ კი არა, რომ ბრგე აგებულებისა იყო. იმაზე ბუმბერაზული ტანადობისას სხვას ბევრს ნახავდით, მაგრამ ისინი აკაკის შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ. არამედ იმიტომ, რომ იშვიათი ჰარმონიულობა სუფევდა მის ტანსა და თავს შორის.

აკაკი ხორცსავსე იყო, ტანსრული, მხარბეჭიანი. თუ ტანწერწეტობა არ ეთქმოდა, ლიპს მაინც ვერ შენიშნავდით, როგორც უნდა გეცქირნათ — პირდაპირ თუ გვერდიდან.

საკვირველი მოყვანილობის თავი ჰქონდა, რგვალი, თარაზოში გამოსული, არსად შეზნექილი ოდნავადაც, არსად ზედმეტად გამოწეული. თმაც რომ არა ჰქონოდა, მარტო ეს იშვიათად სწორე მოყვანილობა ყურადღებას მიიქცევდა.

ხშირი, მეტის-მეტად გრუზა თმა. ისე ხშირი და ერთმანეთში ისე გადახლართულ - გადატმასნილი, რომ ნაპენტი მატყლი გეგონებოდათ. აკაკის თმის ფერი, თვით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, იმ სითეთრემდე არ მისულა, რომელსაც თოვლის სისპეტაკეს უწოდებენ. იგი უფრო ჭაღარა იყო, ვიდრე თეთრი. და ეს იმიტომ, როგორც მე მგონია, რომ თმის ღეროების ხვეულები ერთმანეთის გადახლართვის წერტილებში კვანძივით უფრო მუქი ფერის შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ, ვიდრე სწორედ გაშლილი თმა. ასეთივე ხშირი შუათანა სიგრძის წვერი, ხოლო ნიკაპზევითა ღარებში ოდნავ შეთხელებული. ასევე ოდნავ თხელი ულვაშები.

კიდევ კარგი, აკაკი თმასა და წვერს იკრეჭდა, თორემ ვერავითარი კბილგანიერი სავარცხელი ვერ გაატანდა.

და ეს ბუნებაუხვი თმა შარავანდედივით ადგა მის საკვირველ დიად — არა მარტო მაღალ და განიერ, — არამედ სწორედ დიად შუბლს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ბრძენისაც იყო და პოეტისაც.

ასეთ უტეხ გაბარდულობას, რასაკვირველია, დიდი ფარეშობა ეჭირვებოდა, მაგრამ აკაკი ამას არ დაგიდევდათ და მის თმა-წვერ-ულვაშს ეგრეთწოდებული პოეტური „ნეგლიჟე“-ს იერი სდევდა.

მე ვიცი, სხვებივით, ვისაც ბუნების ასეთი წყალობა ღირსებია, სარკესთან ტრიალს მოჰყვებოდა. ერთი კი გადაივარცხნიდა კბილებ-განიერი სავარცხლით თმას, ჩამოივარცხნიდა წვერს, ხელს გადაისვამდა ულვაშებზე და მისი ტუალეტი გათავებული იყო. ზოგმა რომ იცის კიდევ — ლაპარაკშიაც, საქმეშიაც ერთთავად ხელით წვერს იუთოებს ან თმას აწვალებს, კულულები არ დამეშალოსო, აკაკის ამის მსგავსი არა სჭირდა რა. არც კი ამჩნევდა, რომ მის სახეს გარშემო ასეთი სიმდიდრე ეხვია.

სახე...

მსხვილნაკვთიანი. დიდრონთვალება. მკვეთრად მოხაზული ბაგე, მაგრამ ვნებიანობის არამჩენი ტუჩები... არც ირონიისა.

რასაკვირველია, ნაკვთთა სწორე მოხაზულობით, თვალების წყლიანი მეტყველებით, სახის კანის სისუფთავით და ელფერით ილია აკაკიზე გაცილებით ლამაზი იყო.

მაგრამ ამ დასკვნამდე მიხვიდოდით მაშინ, თუ მათ სახეს მუშტრის თვალით ჩააკვირდებოდით.

თორემ საერთო შთაბეჭდილებას, მთლიანად აღებული მათი გარეგნობის იერს სულ სხვა დასკვნამდე მიჰყავდით.

აკაკის მთელი არსებიდან ისეთი თვალის-მომჭრელი, რაღაც საიდუმლო ძალით ალსავსე სხივნართი შუქი გამოკრთოდა, რომ ილიას სახის სინატიფეს ჩრდილს აყენებდა.

დარწმუნებული ვარ, სადმე საზოგადოებაში, სადაც აკაკიც იყო და რომელიმე მზეთუნახავი ქალი, მათი ერთად მნახველი ყველა ვინმე, უეჭველად ჯერ აკაკის ვინაობას იკითხავდა და მხოლოდ შემდეგ — ამ ქალისას, რადგანაც, თავისდაუნებურად, მას განცვიფრება აიტანდა — ეს მართლა ადამიანია თუ ოლიმპიდან ჩამოსული ღმერთ-კაცია.

ნიშანდობლივი კიდევ ის იყო, მუდამ ხუმრობისა და სიტყვა-მახვილობის სტიქიონში იოლად მცურავ აკაკის, თითქო თავისი ბუნების უნებურად, მართლა ოლიმპიური სიდინჯე და მონუმენტალობა ახასიათებდა: წყნარი მიხვრა-მოხვრა, მძიმე ნაბიჯი, თითქმის სრულიად შეზღუდული ჟესტიკულაცია და თითქო რაღაც ზევსურ გარინდებაში ყოფნა სიჩუმის დროს.

საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ რაც უფრო ხანში შედიოდა აკაკი და რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას, მაგალითად, ტანისამოსის მოხდენილად ტარებას (მეტწილად სერთუკს იცვამდა), მით უფრო მისი გარეგნობა მეტის სილამაზით იმოსებოდა.

თვით პირველად, წვეთის დაცემის შემდეგაც კი, როდესაც ცალი თვალის ქუთუთოების მოძრაობა დაუმძიმდა და ცალ ფეხსაც ოდნავი გაქლესუნებით ხდგამდა, მის გარეგნობას თითქო ახალი რამ გამომეტყველება შეეძინაო მეტად ლამაზი მხცოვანებისა. გეგონებოდათ, სადღაც შორს გაიცქირება და სულ სხვა მსოფლიოს ხილვას ლამობსო.

აი, ასე ვთქვათ, ეს ზექვეყნიური ჭვრეტა დიდის ოსტატობით აქვს იაკობ ნიკოლაძეს გადმოცემული აკაკის ბიუსტში, ოპერის ბაღნარს რომ ამშვენებს. ჩემის აზრით, იგი საუკეთესო ნაწარმოებია ამ მოქანდაკისა.

თუმცა აკაკის პატარაობიდანვე ვიცნობდი, მაგრამ მისმა უკანასკნელი ოცი წლის გარეგნობამ ისე გამოსდევნა ჩემი მეხსიერებიდან იმდროინდელი წარმოდგენა, რომ ვერ მოვახერხებდი მისი მაშინდელი პორტრეტის მოცემას.

ერთი რამ კი ჩემთვის უეჭველია: ახალგაზრდა და შუახნის აკაკი ისე ლამაზი და მომხიბლავი არ უნდა ყოფილიყო, როგორც მოხუცებულობაში იყო. ამას მისი ფოტოგრაფიული სურათებიც ამტკიცებენ.

აკაკი ძალიან ჯანმრთელი ადამიანი იყო. ვერც მუდამ ბოჰემურმა ცხოვრებამ, თუმცა ქეიფი და ღვინის სმა არ უყვარდა, ვერც ერთთავად სასტუმროების უგემურ ვითარებაში ყოფნამ, ვერც დაუდევრობამ თავისი თავზე ზრუნვისამ, ვერც რამდენჯერმე სერიოზულმა დაავადებამ ვერ გასტეხა მისი ღონიერი ბუნება.

წარმოიდგინეთ, თითქმის სიკვდილამდე ისეთი მაგარი კბილები ჰქონდა, ისიც, მგონია, უკლებლივ, რომ კბილით კაკლის მტვრევას მეჯიბრებოდა და...მჯობნიდა კიდეც. ნედლი კაკალი უყვარდა და არ მახსოვს, როდისმე სამტვრევისათვის მიემართოს, რაც უნდა კირკიტი ნაჭუჭი ყოფილიყო, — საკუთარი კბილით გაუტეხავ კაკალს გემო არა აქვსო. თუმცა სულ სიბერეს უჩიოდა, განსაკუთრებით სატრფიალო ლექსებში, მაგრამ მგონია ეს პოეტური ჩივილი უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი უძლურებისა. ან, იქნებ სადონჟუანო ალმაფრენის კლებას გულისხმობდა.

○

აკაკი—ორატორი....

ამაზე ბევრს ვერას ვიტყვი.

ორატორი პაექრობაში გამოიცდებაო. არ ვიცი, ჰქონდა თუ არა შეხლა-შეჯახება აკაკის თავის მოწინააღმდეგე ოქროპირებთან... მე მომისმენია მხოლოდ ერთხელ-ორჯერ მისი სიტყვა, უფრო სწორედ რომ ვთქვა, ეგრეთწოდებული „სპიჩი“ საზეიმო ხასიათისა.

ჯერ ერთი, აკაკის ხმას სიღრმე არა ჰქონდა, არც მოდულაციებით იყო მდიდარი, პირიქით, მის ბუმბერაზულ გარეგნობასთან შედარებით, აკაკის ხმა საკმაოდ სუსტი იყო და წვრილი.

მეორე, არც მჭერმეტყველური პაუზები იცოდა. ისე, როგორც შინაურ საუბარში, საჯაროდ გამოსვლის დროსაც ჟესტიკულაციაზედაც აკაკი ძუნწი იყო. მხოლოდ ერთი ჩვეულება ჰქონდა: გაჩერების დროს დიდი თითით და სალოკი თითით ნიკაპის ღარების ოდნავ ნერვიული ფხანა იცოდა, თითქო ფიქრშია წასულიო, და ამ დროს იმის სახეს ისეთი მეტყველება ჰქონდა, რომ გრძნობდით, რაღაც მნიშვნელოვანი რამ უნდა ეთქვა.

და ამ მოძრაობას მოსდევდა ან ნაკვესი რამ სიტყვა, ან პოეტური მეტაფორა. ასე რომ ერთიც და მეორეც წინასწარ ნავარაუდევი არ უნდა ჰქონოდა და იქვე, სიტყვის პროცესში იბადებოდა.

პათოსი და მგზნებარება აკაკისათვის უჩვეულო იყო. მისი სიტყვა თავისუფლად მიმდინარეობდა. არ იცოდა ზოგივით აზრისა თუ სიტყვის ძებნის დროს შორისდებულ ბგერათა აზმუილება. გამოთქმა ჰქონდა მკაფიო. მის მეტყველებაში იმერული კილო ისმოდა, ხოლო არა მკვეთრად. წერაში თუ ყოველთვის არა, ლაპარაკში მუდამ „ყოლიფერს“ ხმარობდა, „ყოველისფერის“ ნაცვლად.

აკაკი დეკლამატორიც იყო. და დიდადაც მიღებული. საზოგადოება ყოველთვის ოვაციებით ეგებებოდა. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, ამ გარეგან ტრიუმფში თვით აკაკის დეკლამატორულ უნარს, ჩემის აზრით, დიდი ხვედრითი წონა არა ჰქონდა.

საკმარისი იყო მარტოოდენ, რომ აკაკი მონაწილეობას იღებდა ამა თუ იმ სალიტერატურო საღამოში და კითხულობდა თავის მშვენიერ ლექსებს. ვინ დაგიდევდა იმას, თუ როგორ კითხულობდა! მარტო მისი დიდებული ფიგურისა და ღვთაებრივი სახის გამოჩენა—ისევე, ვით ილიასი—იმგვარ ენტუზიაზმს იწვევდა დამსწრეთა შორის, რომ თვით დეკლამაციის ნამდვილი შეფასება ვისღა ახსოვდა.

როგორც თითქმის ყოველი პოეტი, აკაკიც, რასაკვირველია, სუსტი დეკლამატორი იყო. ამისათვის მას არც ხმა გააჩნდა, არც მგზნებარე ტემპერამენტი, არც ამ ხელოვნებისათვის აუცილებელი შინაგანი მუსიკალობა.

კითხულობდა იგი ლექსს მკაფიოდ, ცოტა არ იყოს, მოსიმღერო მელოდიურობით და მნიშვნელოვანი ადგილების განსაკუთრებული ინტონაციური განფენილობით, რის გამოც მისი ხმა საკმაოდ წვრილდებოდა.

სხვებთან ერთად მეც გაგიჟებით ტაშს ვუკრავდი, ვინაიდან მოწყურებული ვიყავი, რაც შეიძლება მეტხანს ყოფილიყო სათაყვანებელი ადამიანი ესტრადაზე, რაც შეიძლება მეტხანს მეცქირნა მისი მშვენიერი სახისათვის, მომესმინა მისი „უმისოდაც“ მუსიკალური ლექსები.

რაღა თქმა უნდა, ვინმე ხელოვანი დეკლამატორი უფრო მეტის ექსპრესიით და გამომეტყველებით წაიკითხავდა მის მართლაც და სადეკლამაციო თვისებით მდიდარ ლექსებს, მაგრამ აკაკის მაინც ვერ გააფასებდა საზოგადოების თვალში, ვინაიდან იმ წამს მსმენელზე მოქმედებდა არა წამკითხველის უნარი, არამედ სულ სხვა საიდუმლო ძალა, სულ სხვა სულთაძვრა.

ესეც არის, მაშინ ნამდვილი დეკლამატორები არც იყვნენ.

---

*) „მოგონება აკაკი წერეთელზე“ მთლიანად იბეჭდება საქართველოს სალიტერატურო მუზეუმის კრებულში „ლიტერატურის მატიანეში“.

ავტორი.

აკაკის ლექსები

ა. ახნაზაროვი

რაღა თქმა უნდა, ყველა სიამოვნებით მოისმენდა აკაკის სრულ თხზულებათა გამოცემის განზრახვის ამბავს, ამ ქართველი ხალხის დიდად საყვარელ და ნიჭიერ მგოსნისას. მისი ლექსები აქამდისაც გულდასმით უნდა ყოფილიყო შესწავლილი, ქრონოლოგიურად დალაგებული და გამოცემული, რომ ყოველს ქართველს ეს სატრფიალო მისი პოეტი თვალწინ წარუდგეს ყოველი თავის ღირსებით. აკაკი ერთი იმგვარ პოეტთაგანია, რომელსაც თავის ბავშვობიდან სიკვდილის დღემდე, თითქმის მთელი სამოცი წლის განმავლობაში ცხოვრების არც ერთი მოვლენა, საქართველოს ჭირვარამი, ავი და კარგი, დრო-ჟამის სიავე არ გამოჰრჩენია, რომ თავისი ქნარით არ გამოხმაურებოდა და თავისი აზრი არ გამოეთქვა. ამის გამო მისი ლექსები მთელ საქართველოშია გაფანტული, ზოგი ცნობილად და ზოგი სრულიად უცნობელად, ხელის მოუწერლად და ავტორის ვინაობის აღუნიშვნელად. 1935 წ. 20 თებერვალს „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 8) მე ოთხი გამოვაქვეყნე სასიმღერო კუპლეტები, რომელნიც აკაკიმ ვასო აბაშიძეს ექსპრომტად დაუწერა და გადასცა და რომელნიც დღემდე დავიწყებული იყო. ვინ იცის, რამდენი ლექსია აკაკისა ალბომებში დაბნეული ან ხალხში გავრცელებული, რომლის დედანი და პირი არ დარჩენილა.

სასურველია, რომ ყველა ეს ლექსი, ვისაც კი იცის ასეთი შემთხვევა, გამომჟღავნებულ იქნას და გადაეცეს რედაქტორებს, რომლითაც მინდობილი აქვთ აკაკის თხზულებათა გამოცემა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ აკაკის რჩეულ ნაწერების მე-4 ტომში, რომელიც 1928 წელს დაიბეჭდა ს. გორგაძისა და ს. აბაშელის რედაქტორობით, ბოლოში მოთავსებულია ქრონოლოგიური სია აკაკის ლექსებისა, რომლიდანაც ყველას შეუძლიან შეიტყოს, რა ლექსებია ცნობილი აკაკისა და რომლის დედანი ან პირია დარჩენილი.

ეს დღევანდელი ჩემი წერილი იმან გამოიწვია, რომ, როგორც დანამდვილებით ვიცი, 1886 წელს ვასო აბაშიძის რედაქტორობით გამოცემულ ყოველკვირეულ ჟურნალ „თეატრში“, რომელშიაც მე ვთანამშრომლობდი, დაბეჭდილია ხალხური ლეგენდა მურზაყან შავ-სევდიანის შესახებ, რომელსაც წინ უძღვის აკაკის მიერ დაწერილი დახასიათება მურზაყანისა. ეს დახასიათებაც და ლეგენდაც ხელმოუწერელია (იხ. ჟურ. „თეატრი“, 1886 წ., № 1). იმავე წლის ამ ჟურნალის მე-2 ნომერში ხელმოუწერლად არის დაბეჭდილი ორი ლექსი აკაკისა. მოგვყავს აქვე ეს ლექსები:

ხალხური

საველ-ბაყაყო ქაობი
აყროლებულა, შრებაო,
მოშხამულ ოშხივარითა
ქვეყანას ემუქრებაო!

ქვემძრომებიცა ფუს-ფუსით
კიდეზედ გამოსულანო;
ბრიყვულის მედიდურობით
უგნურათ გარს მოცულანო!

გველი მკურნალობს, ბაყაყი
იჩემებს ბულბულობასო.
რა უთხრა დროთა ცვლილებას,
ფუი მის საძაგლობასო!

სადა ხარ წვიმავ შხაპუნავ?
მოვარდი ნიავ-ღვართო,
რომ ქვემძრომები წაღეკო,
უფსკრულში გადაჰყაროო!

გამოცანა

ზღვაში ფულები ჩაჰყარა,
ქვები აჭამა მან ჭიის;
სიცრუის სტვირი გაბერა,
აძახებს აჭი-ბაჭიას.

რკინის გზას გადაელობა,
ჰხრავს და არც ანძრევს ხელებსა,
რაც უნდა გულზე დაადგეს,
მაინც არ დაახველებსა.

ნიკრისი თავში შესვლია,
შეჰქედებია ვით ნალი,
მოშავ, რა ვირი გყოლია,
ის არის მისი მკურნალი.

არ ვიცი, რა მიზეზით არ მოისურვა აკაკიმ მაშინ ამ ლექსებისათვის თავისი სახელი მოეწერა.

ამას გარდა, ზემოხსენებულ ქრონოლოგიურ სიაში ნათქვამია, რომ აკაკის ლექსი „სოფლური“, რომელიც ასე იწყება:

ჰაუ, ჰაუ! ქორო ნუ ჰფრენ
ამ ეზოში დილ-დილაო.
ვერ მომპარავ... არ გაგატან,
ჩემს პატარა წიწილასო, —

მოთავსებულიაო აკაკის თხზულებაში 1893 წელს, მხოლოდ ცენზურისაგან ნება დართულიაო 19 დეკემბერს 1892 წელს. ამგვარად რედაქტორებს ეს ლექსი 1892 წელს დაწერილად მიაჩნიათ. მე კი დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ლექსი აკაკის მიერ დაწერილია 1884 წელს და გაზ. „დროებისათვის“ იყო აწყობილი დასაბეჭდათ, მაგრამ ცენზორმა დაიჭირა და არ დაიბეჭდა. ეს ლექსი იმ წელსვე მაქვს ჩემს რვეულში შეტანილი და სასურველია, რომ აკაკის თხზულებაში 1893 წელს მოთავსებული ლექსი „სოფლური“ შედარებულ იქნას ჩემს ჩანაწერთან, რათა გამოირკვეს — შეუტანია თუ არა რაიმე ცვლილება აკაკის 1884 წელს დაწერილ ლექსში, რადგან, როგორცა სჩანს, განსვენებულ პოეტს ეს ერთხელ უკვე ცენზურის მიერ აკრძალული ლექსი 1892 წელს, რვა წლის შემდეგ, ხელმეორედ წარუდგენია ცენზურისათვის, ნებართვა მიუღია და თავის თხზულებაში დაუბეჭდია.

იმავე სიაში ნათქვამია რომ ლექსი „მღვდელი და ექიმი“ 1890 წელს იყო აწყობილი ჟურ. „თეატრში“ დასაბეჭდად, მაგრამ ცენზორს დაუჭერიაო (ავტოგრაფიც ხელთ ჰქონიათ სიის შემდგენელებს). მე კი უნდა აღვნიშნო, რომ ეს ლექსი უფრო ადრე არის დაწერილი (დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რომელ წელს) და ჩემს დროს „ივერიამაც“ სცადა მისი დაბეჭდვა, მაგრამ ცენზურამ ნება არ დართო და მისი ავტოგრაფი მე შემრჩა. ამ ავტოგრაფს ამასთანავე ვურდგენ რედაქციას. მომყავს ეს ლექსი იმ აზრით, რომ ორივე ავტოგრაფი შედარებული იქნას ერთმანეთთან:

მღვდელი და ექიმი

მღვდელმა უბძანა დიაკონს:
„ხომ ხედავ, ღმერთი სწყრებაო,
არც ქორწილია, არც ნათლა
და არც არავინ კვდებაო.

ცოლები სხვის ქმრებს მისდევენ.
ვინღა დაიწერს ჯვარსაო?
შვილებიც რომ აღარა ჰყავთ,
ხმარობენ ჯადო-ქარსაო?..

სიკვდილიც განზე გვიდგება,
ის ჩვენი ცოდვით სავსეო..
აღარ გვაქვს შემოსავალი
და გლახაკს დავემსგავსეო!“

დიაკონმა სთქვა: „მამაო,
გულს ნუ გაიტეხ ჯერაო,
რომ ბედი გამოგვეცვლება
ამ მოკლე ხანში... მჯერაო:

ჩხუბი მოსვლიათ დოქტორებს
ერთმანეთს აკვდებიანო;
სნეულთან აღარ მიდიან
და თუ მიდიან გვიანო.

რაღას არგებენ მამაკვდავს!
მაგრამ არ სტკივათ გულიო,
რეცეპტებს სწერენ სიჩქარით.
რომ ჩაიჯიბონ ფულიო.

ფეხისას თავზე ადებენ
და ფეხზე თავის წამალსო,
დიპლომით ჟლეტენ ქვეყანას
და ვინღა დასდებს მათ ბრალსო“.

მღვდელმა სთქვა: „ღმერთმა
აკურთხოს
იმათი მოხელობაო!
ისინიც რომ არ გვშველოდენ,
რაღა იქნება მღვდლობაო“.

აკაკი.

აკაკი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე

(აკაკის გამოუქვეყნებელი წერილების მიხედვით)

ქ. მექველია

ნასიქადულო ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მომენტები დიდად არის დაკავშირებული 60-იანი წლების ქართველი მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის პიროვნებასთან. კირილე ლორთქიფანიძე აკაკისა და სხვა ქართველი პოეტების დამხმარე და ყოველდღიური მზრუნველი იყო. აკაკი და ილია ხშირად ღებულობდნენ რჩევა-დარიგებას კირილე ლორთქიფანიძისაგან. კირილე მათი შინაური პირუთვნელი კრიტიკოსი იყო. დაბეჭდვამდე კირილე ხელნაწერებს გადასინჯავდა და მისი ავტორიტეტული აზრის შემდეგ იბეჭდებოდა. ილია ჭავჭავაძე ერთ თავის წერილში კირილეს სწერს: „ძმაო კირილე: „გლახის ნაამბობი“ დავასრულე, თებერვლის ათამდის გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია, იმაზე, თუ არა მეტი, ნაკლები* არ გამოვა... არ ვიცი, როგორ მოგეწონება, ჯერ ვიდრე დაბეჭდავდეთ, შენებურად გადაიკითხე და შენი პირმოუფერებელი აზრი მაცნობე, შენი ჭირიმე კირილე“. [1]

კიდევ უფრო დაახლოვებული იყო კირილე აკაკისთან. მწერლობაზე გულგატეხილი აკაკი ბევრჯერ დაუმშვიდებია კირილეს და ჭეშმარიტ გზაზე დაუყენებია იგი. და აკაკიც თავის თანამედროვეთაგან ყველაზე უფრო კირილეს აფასებდა. ამის შესახებ აკაკი სწერს: „ერთხელ შემოვიდნენ ჩემთან მოციქულებად ვ. თულაშვილი, გ. ჯავახიშვილი, ჩოდრიშვილი და გამომცემ ამხანაგების მაგიერ: „შენი მწერლობით გვარცხვენ და ლექსების წერაზე ხელი აიღე, ან ჩვენს ნაცნობობაზეო“. დიდხანს ვუყუმანობდი, მართლა ამეღო თუ არა ხელი მწერლობაზე“. მაგრამ აკაკის აქ გამამხნევებელი და კეთილი გზის მაჩვენებელი ამხანაგი გაუჩნდა — კირილე ლორთქიფანიძე, რომელმაც აიძულა აკაკი არ ეთხოვებინა ყური ამისთანა სიტყვებისათვის და განეგრძო წერა.

კირილე ლორთქიფანიძე აკაკი წერეთლის განუყრელი მეგობარი იყო, თუმცა მათი ხასიათები რადიკალურად განსხვავდებოდნენ. აკაკი თავშეუკავებელი, ფიცხი ხასიათისა იყო, კირილე კი დინჯი, პუნქტუალური, სათნო და ასკეტიური ადამიანი იყო.

ზოგჯერ აკაკისა და კირილესაც მოსდიოდათ ერთმანეთში უმნიშვნელო კონფლიქტები. 1873 წელს, როდესაც სერგეი მესხი საზღვარგარეთ წავიდა, „დროების“ რედაქტორობა კირილე ლორთქიფანიძეს დაევალა. კირილე ნიკო ნიკოლაძეს სწერს: „რადგან უმთავრესი სამართველოს გადაწყვეტილებაზე ჩემი დროებით რედაქტორად დამტკიცების შესახებ მე ხელი არ მომიწერია, ამიტომ „დროებას“ 38 ნომერზე ისევ მესხის სახელი და გვარი იყოს, რომ ჩემს გვარს ვერ მოვაწერ იმ ნომერზე, რომელშიაც აკაკის სტატია იქნება“. [2] ეს უბრალო კონფლიქტი იყო და ამას დროებითი ხასიათი ჰქონდა.

ერთხელ კირილე სოფელში მიდიოდა. თეთრი ცხენი მიუყვანეს. აკაკიც იქ ყოფილა. აკაკის შეუხედნია, უთქვამს კირილესთვის: კირილე, შენ რომ ამ თეთრ ცხენზე შეჯდები, პირდაპირ წმინდა გიორგის დაემსგავსებიო. კირილეს ეს ძალიან სწყენია და სოფელში აღარ წასულა, თუმცა აკაკის ბევრი უხვეწნია.

ასეთ უბრალო შემთხვევებს არ შეეძლოთ შეეცვალათ აკაკისა და კირილეს მეგობრული ურთიერთობა და სიკვდილამდე ისინი საუკეთესო მეგობრებად დარჩნენ. ამას ადასტურებს, სხვათა შორის, აკაკისა და კირილეს მიწერ-მოწერაც, რომლის ნაწილს აქ ვაქვეყნებთ.

ბოლო ხანებში აკაკის მოხუცებასთან ერთად ავადმყოფობა შეეპარა. განსაკუთრებით უჩიოდა გულის ავადმყოფობას, ექიმების რჩევით ესაჭიროებოდა საზღვარგარეთ (მარიენბადში) მკურნალობა, მაგრამ აკაკის ამის შეძლება არა ქონდა და კირილეს სთხოვა—იქნება როგორმე წინასწარ პენსია ამიღოო. ამის შესახებ აკაკი სწერს კირილე ლორთქიფანიძეს: „ძმაო კირილე! ჩემი საქმეები სამოლაოთ კარგად იქნება, მაგრამ რათ მინდა, რომ მე თურმე ველარ მოვესწრები. გუშინ კონსილიუმი იყო და დოქტორებმა პირდაპირ მითხრეს: გული გქონია გაფუჭებული და თუ ახლათ-ახლავე მარიენბადში არ წადი, უსაშველოა შენი საქმეო. ესევე მითხრა ბოტკინის [3] მოადგილე ჩუდნოვსკიმაც — და წიგნი მიმიწერა დოქტორ კიშთან... ჯერ სანამ მე შეძლებული გავხდებოდე ვინ იცის რამდენი გაიელის და მანამდე მე გული აღარ დამაცლის, ერთი სიტყვით უსაშველო ვარ. გეთაყვა, ნახე ნაზაროვი, [4] დათა ბაქრაძე [5] დათა ლორთქიფანიძე და სხვა ჩვენები და იმათაც დაეკითხე, ეგება ამ მაისს კრებაზე საზოგადოებამ ისურვოს და წლის წყალობა, ე. ი. პენსია წინდაწინ მოაცემინოს. თუ არ მოვკვდი, დაუბრუნებ და, თუ მოვკვდი, განკარგულებას დავუგდებ შვილს და ის გადაიხდის. ვიცი, აქაურები ჩემი ავადმყოფობის ამბავს მოიწერებიან მანდ და ჩემი დათა შელონდება და ამას გარდა ოჯახსაც გამიწეწენ და შენი ჭირიმე თუ ნახო უთხარი რომ ულონოდ არის, მაგრამ არა უჭირს რა და მალეც ჩამოვათქო. თუ დაატყოთ ვინმემ საწყენათ მიიღოს ჩემი თხოვნა, თავი დაანებე, აღარ ღირს... თუ მოიცალო მანდაური ამბები მომწერე. ჩემი ნაწერები რაც აქ არის შენს სახელზე დავბეჭდე და აგრეთვე ერთი იაშჩიკი თბილისშია ჩემი ცოლის დისას. წოლით აქ ვწევარ, მაგრამ ცუდათ ვარ, ჩუდნოვსკი მაიმედებს, წადი წყლებზე და თუ სულ არა, დიდხნობით მაინც გამობრუნდებიო“ [6].

შემდეგ წერილში აკაკი სწერს კირილეს ზოგიერთი უკმაყოფილო მწერლებისა და „სალამურის“ დაბეჭდვის შესახებ.

„ძმაო კირილე! ამხანაგებმა მოდათ შემოიღეს, რაც უნდათ უჩიმოთ ბეჭდავენ და რაც არა, მე მაბრალებენ აკაკიმ არ გაუშვაო და თავმოყვარე ავტორებისაგან მოსვენება არ არის. დღეში ათობითა და ოცობით მოგვდის საყვედურისა და ლანძღვის წერილები. ამათ ლანძღვას გაუძლებ, მაგრამ ზედ რომ შენი საყვედურიც დაერთო. ის კი არ მეამა, მით უფრო, რომ ტყუილი შეგპარვია ჩემს შესახებ. მე დიდათ მსურდა, რომ „სალამური“ [7] ყველაზე ადრე ყოფილიყო გამოცემული, მაგრამ არ მოხერხდა, არა და არა. ჩემი ბრალია, „კომიტეტში“ ორჯერ ვიყავი, რაფიელთან სამჯერ და მითხრეს, გავგზავნითო: როდის? რა ნომრით? რა დღეს? რომ ვკითხე ეს სულ ერთია, დაგვიჯერე გაგზავნილიაო“. რაღა მეთქვა, ჩხუბს ხომ ვერ დავუწყებდი. შენ კი სულ სხვასა ფიქრობ... განა მე ჩემი თავის მტერი ვარ?... რაც შეეხება ლექსების დაბეჭდვას, ეგ ჩემის აზრით არას უშლის, მაინც გაიყიდება და თუ შენ გგონია, ვიზარალებთ, ფული ჩემია და გინდა დღესვე შემოვიტანო. ვინ გითხრა, რომ შენზე ცუდ რამესა ვფიქრობ? და მაქსიმე რად შეაწუხე? სტრ... დიდი ტუტუცი ყოფილა და იმასთან ლაპარაკიც აღარ მინდა. მამა უცხონდა დაჭკარგოს შემთხვევა და მერე აიღებს ოხერ სახლებში მაგ ფულს. გაზაფხულზე რომ მოგწონებია, ძალიან მიამა. სამშაბათს ჩამოვალ. შენი აკაკი“.

მე-19 საუკუნის მიწურულში ქუთაისში ხოლერა გაჩნდა. ხოლერის შემთხვევა საჩხერეშიაც ყოფილა. აკაკი ამ დროს საჩხერედან სწერს კირილეს:

„დავემწყვდი ამ ცუდ დროს საჩხერეში და არაფერი ვიცი, რა არის ქვეყანაზე. დროს კარგად ვატარებ ე. ი. მარტო ვარ ჩემთვის, ვწერ და ვკითხულობ და სახლს ვაშენებ ნელ-ნელა — ავაშენებთქო რომ ვამბობ ე. ი. დავაქცევ... კარავში ვარ, ხოლერის ერთი შემთხვევა იყო აქ ჯერ და მეტი არ ყოფილა და თუ კიდევ იქნა, ოსეთში წავალ, ასე ვივლი იალბუზამდის. ქუთაისში რა ამბავია? მე შენი ფიქრი მაქვს. თუ მანდ ძლიერ გახშირდეს ხოლერა, წამოდი ჩემთან და დრომდე თავი მოაშორე. გიორგი ჭილაძის ხათრიც მაქვს, წვრილ სახლობის პატრონია, რო სახლი მქონდეს, აქეთკენ ამოვიწვევდი, მაგრამ ხათა ის არის, სულ უსახლობაა, აქაც აუცილებლივ ელიან იმ ოხერ სნეულებას. ერთად-ერთი შუალობა მთებია. თუ მოიცალოთ წიგნის მოსაწერად ამ ადრესით: **В Квирили, приставу Кавтарадзе, получ. Акакию.** შენი აკაკი“ [8].

როგორც აკაკი თავის თავგადასავალში აღნიშნავს, მას საჩივარი ჰქონდა ცოლის ქონების შესახებ ცოლის დასთან და ცოლის ძმებთან. ამის შესახებ ერთ წერილში მოსკოვიდან აკაკი სწერს კირილეს:

„ძმაო კირილე! ჩემი საქმეები, რომ მიდიოდა კიდევ უფრო მიდის იმაზედაც... საქმე ათგან, ხუთმეტგან მაქვს კარგად და რა ვიცი, ყველგან როგორ წაბდება, მაგრამ ჯერ მაინც ვერას ვიტყვი გაკეთებამდი. დიდი იმედი კი არის. თუ მალე მოვრჩი, შეიძლება ფულები გამოვგზავნო და მე მაისამდე ვერ დავიძრე აქედან, რადგან პროცესი ჩემი ცოლისა და ცოლისდის ძმებთან მანამდი ვერ გათავდება. მისთანა ფრანტი გამომჭიმეს, კირილე, რომ შემომხედო გადიხარხარებდი... რა გაეწყობა, ოღონ კი საქმე კეთილად გათავდეს და ჩავიცვამ წმინდა ტანისამოსს. ანიჩკა მომიკითხე. შენი აკაკი“.

მაგრამ როგორც აკაკის „თავგადასავლიდან“ სჩანს, აკაკიმ პროცესი ვერ მოიგო. ამის შესახებ აკაკი იქვე „თავგადასავალში“ სწერს: „დამრჩა როგორც იმერელს პროცესი ხელში, რომელიც დიდ ხარჯს მოითხოვდა. ვიღაც ტრუბეცკოიმ ორი მილიონი შემომაძლია იმ პროცესში, „მომყიდე და მერე მე ვიციო“. მაგრამ მე რა ნება მქონდა დავთანხმებულიყავ, მით უფრო, იქ ცოლისდაც ერია. ასე თუ ისე კრედიტი დიდი მქონდა მოსკოვში, დავიწყე პროცესი და დიდ გაჭირვებაში ჩავარდი, რადგანაც რომ მეგონა, ისე ადრე არ გათავდა საქმე. იძულებული გავხდი, რომ დამენებებინა თავი რუსეთისათვის და წამოვსულიყავი სამშობლოში ცოლშვილიანად. საქმე გადავეცი ჩემს ქვისლს“. [9] მაგრამ აკაკის წინამეტყველება არ გაუმართლდა, პროცესი წააგო და ამის შესახებ იმავე თავგადასავალში აღნიშნავს: „ასე რომ მე ცოლი წამოვიყვანე და მზითები კი სხვებმა წაიღეს“. [10]

ვაქვეყნებთ აგრეთვე აკაკის წერილებს კირილესთან სხვა პირადი საქმების შესახებ.

„ძმაო კირილე. ჯერ საქმე შენმა ვექსილმა ჩოლოყაშვილისა ძალიან დაიგვიანა და ძლიერ გაჭირვებაში ჩავარდი. მადლობა ღმერთს, ახლა მიიღო. მიკვირს კი რათ დაიგვიანა. ბორჯღიც მიიღო, რადგანაც დარწმუნდა, რომ ფულს მალე მიიღებს ბანკიდამა. ვიღაცას ეთქვა, რომ ვერც ას წელიწადს ჩააბარებო და ირევოდა, მაგრამ თითქმის აგრეთვე უშოვნია დავით მიქელაძის [11] ასი თუმნის ვექსილი ანონოვისაგან და წარმოდგენას აპირებდა, მაგრამ მე ვურჩიე მამამისი უმცველებს... და თუ ეგ გაიგო ხელს შეუშლის მეთქი და დამრჩება მშრალათ მეთქი. დამიჯერა და გადასწყვიტა, სანამ არ დაიმტკიცებს და ჩემგანაც სპრავკა არ მოუვა, შენახული ექნება. შენ რომ მეუბნებოდი იმ კაცს ტყვილა სწამებო ხომ მე მართალი გამოვედი. თურმე ყველაფერი მისი შეთხზული იყო ჩვეულებრივად. ეს გამოდგა და კიდევ რამდენი საძაგლობები. ასე უთხარი ანიჩკას, რომელსაც უთუოდ ელოდინებოდა და ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეცი. ახლა უსაქმობა: მე სწორედ „აზნაურული“ საქმე მომივიდა, არა, რა მომარბენინებდი ქუთაისიდამ, ამ ქალაქში, ჩემოდანი დავკარგე, ქაღალდები შიგ დამრჩა, ჩემმა გაშისკდა. ერთი სიტყვით გავიყელიფე — სწორედ ამას ქვიან გაპრიყვდი და შეჯექ ვირსა, იტლინკა და დამცა ძირსა. არა, რა მომარბენინებდა. ფარშავანგი სოლომონ ლორთქიფანიძეს გამოვატანე და ის ჰოგუყვანს, მას კითხე. შენი აკაკი. მადნის დოვერენოსტი გამომიგზავნე რაც შეიძლება მალე. შენი აკაკი“ [12].

„ძმაო კირილე. მე მეგონა ისეთი სიმართლე გქონდა და უფრო მეტიც კიდევ, ვიდრე მე. იმაზე რასაც ითხოვ... რადგანაც ყოველ დღე ვაპირებდი წამოსვლას და შენთვის არც საჩქარო მეგონა, ამან შემაცდინა და თუ ისე საჭირო იყო რა დაგეზარა ერთი დეპეშა ან ბარათი, იმავე საათში მოგაწვდიდი. ვწუხვარ ჭეშმარიტად ეს დღეები დამმწარდა ამ უნებურ ჩემს... ახლა რაღა მეთქმის, ხვალ ე. ი. 7 მანდ ვიქნები და ყველაფერს შეიტყობ თუ რამ შემიშალა ხელი. შენი აკაკი“ [13].

„ძმაო კირილე ღმერთმა ის დღე შენს მტერს დააყენოს, მე ამ წერილმა დღეში ჩამაგდო. უნდა წავიდე და ვერ ვახერხებ. მე ამაზე მეტი აღარ დამემართება. ნახე ჩიკვაიძე [14] მოელაპარაკე და ეს ფულები გადმომეცი მაჩაბელის სახელზე. უნდა ამ დღეებში მივეშველო, მანდ რისკი არ არის რა, რადგან სუდიამ ამითქვა 21 ივნისს გადაგიწყვეტო და რომ კიდეც არ გადამიწყვიტოს, მაინც მანამდი... შევამსებდი და ახლა კი სწორეთ ცეცხლში ვარ სიჩქარით. შენი აკაკი“. [15]

„ძმაო კირილე. სამი ბარათის მოწერის შემდეგ არც ერთის პასუხი არ მიმიღია შენგან და ახლა ამ წიგნსაც გწერთ არა მეოთხეთ პასუხად შენის დეპეშისა. ტყუილად აშფოთებულხარ, შენი ხელში მიცემა და მოტყუება რომ მინდოდეს, ჩემს გოშას მაინც როგორ გავწირავდი. ფულები გამოიგზავნება უეჭველად ჩვიდმეტს იანვარს. თუ მანამდე მე უფრო ადრე არ მომიხდა წამოსვლა რამდენიმე დღე კიდეც რომ გადაცილდეს, მგონი არ ისარგებლებს ის და თუ მაინცდამაინც უნამუსო გამოდგება და რა გაეწყობა გადავიხდი. შენი აკაკი“. [16]

ამ დოკუმენტებიდან აშკარად სჩანს თავაზიანი და გულისხმიერი დამოკიდებულება აკაკი წერეთლისა თავისი საუკეთესო მეგობრის კირილე ლორთქიფანიძესადმი, რომელიც შესამჩნევ პიროვნებას წარმოადგენდა 60-იანი წლების მოღვაწეთა შორის და რომელმაც დიდი როლი ითამაშა აკაკი წერეთლის, როგორც პოეტის და ადამიანის, ჩამოყალიბების საქმეში.

---

[1] იხ. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერების კოლექცია. ქ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 6. ილიას წერილი კირილესადმი.

[2] იხ. ქ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 22.

[3] ბოტკინი მეფის სასახლის ექიმი იყო.

[4] დიმიტრი ნაზაროვი, მედიცინის დოქტორი, ცხოვრობდა ქუთაისში და ითვლებოდა აკაკის კარგ მეგობრად, იყო საზოგადო მოღვაწე.

[5] ქუთ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.

[6] იხ. ქ. ლ. არქივი, აკაკის წერილი კირილესთან, როგორც წერილის შინაარსიდან ირკვევა, იგი დაწერილია პეტერბურგში, თარიღი არა აქვს.

[7] ლაპარაკია აკაკის „სალამურზე“. კირილემ გამზადა აკაკის ლექსების კრებული სახელწოდებით „სალამური“ (სიმღერები და მესტვირული ლექსები აკაკისა), სადაც მოთავსებული იყო 27 ლექსი. ცენზორს რ. ერისთავს ბევრი ლექსი ამოუღია. დანარჩენიდან ადგილები ამოუშლია (იხ. მუზეუმის ხელნაწერი № 47, ვ. № 24).

[8] იქვე, № 8.

[9] „ჩემი თავგადასავალი“, ტ. I, გვ. 78.

[10] იქვე. გვ. 78.

[11] ცნობილია მეველის ფსევდონიმით.

[12] იხ. ქ. ლ. არქივი.

[13] იქვე.

[14] ლაპარაკია კალისტრატე ჩიკვაიძეზე.

[15] იქვე.

[16] იქვე.

მწერალთა კავშირში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა

28 ნოემბერს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

სომხური ჟურნალის „არშავის" შესახებ

მოსმენილ იქნა მოხსენება სომხური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალის „არშავის" შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. რ. აგაბაბიანმა. განახლებულმა სარედაქციო კოლეგიამ თვალსაჩინოდ გააუმჯობესა ჟურნალის შინაარსი, მასში მოთავსებული მასალების ხარისხი.

ჟურნალის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით პრეზიდიუმმა დასახა პრაქტიკული წინადადებები.

სექციების სამუშაო გეგმის განხილვა

განხილულ იქნა სექციების ნოემბერ-დეკემბრის სამუშაო გეგმები. მოხსენება გააკეთა ი. მოსაშვილმა. გეგმა ითვალისწინებს შემოქმედებითი მუშაობის გაშლას და დისკუსიებს მხატვრული ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე.

საბავშვო მწერლობის მხატვრული კრებული

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო საუკეთესო საბავშვო მწერლების ნაწარმოებთა კრებულის გამოცემა.

სემინარი ახალგაზრდა დრამატურგებისათვის

უახლოეს დროში უნდა მოეწყოს სემინარი ახალგაზრდა დრამატურგებისათვის. სემინარის ორგანიზაცია დაევალა პრეზიდიუმის წევრს და დრამატურგთა სექციის თავმჯდომარეს შალვა დადიანს.

უკრაინული პოეზიის ანთოლოგია

1941 წელს ქართულ ენაზე უნდა გამოიცეს თანამედროვე უკრაინული პოეზიის ანთოლოგია. პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია ი. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის და ი. მოსაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაავალა ანთოლოგიის გამოცემის ორგანიზაცია.

ი. ფრანკოს ნაწერები ქართულ ენაზე

ცნობილი უკრაინელი მწერლის ი. ფრანკოს საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით საჭიროდ იქნა ცნობილი მისი რჩეული ნაწერების გამოცემა ქართულ ენაზე ორ წიგნად. პირველ წიგნში შევა ფრანკოს პოეტური ნაწარმოებები. რედაქცია დაევალა ს. ჩიქოვანს და ს. ეულს; მეორე წიგნში შევა ფრანკოს პროზა. მისი რედაქცია დაევალა ს. ეულს და დ. შენგელაიას.

ა. მიცკევიჩის ნაწერები ქართულ ენაზე

1941 წლისათვის გამოცემულ უნდა იქნას ა. მიცკევიჩის რჩეული ლექსები და პოემები ხუთი ათასი სტრიქონის რაოდენობით. რედაქცია დაევალა ი. აბაშიძეს.

○

25 ნოემბერს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა.

ლ. ბალიაურის რომანის „ოქროს ფოთლების" განხილვა

პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ლ. ბალიაურის ახალი რომანის „ოქროს ფოთლების" შესახებ. მოხსენება გააკეთა შ. რადიანმა. „ოქროს ფოთლები" შეეხება თანამედროვე ხევსურეთის ცხოვრებას. რომანში ასახულია ხევსურეთის თანდათანი განთავისუფლება ძველი, მავნე ტრადიციებისა და ცრუმორწმუნეობის ტყვეობისაგან და სოციალისტური იდეების განმტკიცება ხალხის შეგნებაში. რომანში ყოფა ასახულია თავისი სირთულით და წინააღმდეგობებით. მომქმედი პირებიდან ნაწარმოებში ყველაზე უფრო დასრულებული სახით წარმოდგენილია კომკავშირელი ლაგაზი. მომხსენებლის აზრით, „ოქროს ფოთლების" დასასრული საჭიროებს მეტ იდეურ გამართულობას, მეტ მხატვრულ სიღრმეს, აუცილებელია ავტორმა გადაამუშაოს რომანის ეს ნაწილი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი „ოქროს ფოთლების" შესახებ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო **ი. აბაშიძემ, ლ. ქიაჩელმა, ს. ჩიქოვანმა, რ. გვეტაძემ, ს. ეულმა, ი. მოსაშვილმა და კ. კალაძემ.**

დასასრულ ლეო ქიაჩელს დაევალა გასწორების შემდეგ წაიკითხოს რომანი და თავისი დასკვნა წარმოუდგინოს პრეზიდიუმს, მორიგ სხდომაზე მსჯელობისათვის.

სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ

სამხრეთ-ოსეთის მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ამხ. სანდრო ეული.

ამხ. ეულმა პრეზიდიუმს გააცნო ის პრაქტიკული წინადადებანი, რომლებიც გატარებულ იქნა სამხრეთ-ოსეთის მწერალთა კავშირის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი

სცენა—საოპერო თეატრში.

ლავრენტი არდაზიანის მოთხრობა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ყურადღებას იქცევს, როგორც უაღრესად რეალისტური ნაწარმოები. მწერალი თავის ამ კლასიკური ღირსების მქონე მოთხრობაში იშვიათი რეალისტური ალღოთი და მხატვრული დამაჯერებლობით გვიშლის გასული საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულის საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ისტორიულ ტენდენციას. მართალია, არდაზიანი ვერ იძლევა მოვლენებისა და პერსონაჟის მოქმედების ღრმა მხატვრულ და სოციალურ ანალიზს, მაგრამ იმ ემპირიული ხერხითაც, რომელსაც იგი მიმართავს ფაქტიური სინამდვილის გადმოცემის დროს, გვაჯერებს სიმართლესა და ახალის გამარჯვების გარდუვალობაში.

მთავარი და ღირსშესანიშნავი „მეჯღანუაშვილში", რითაც არდაზიანმა ყურადღება დაიმსახურა და უკვდავი სახელი დაიმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, არის ახლის გრძნობა. ახლის გრძნობის უნარმა არდაზიანი დააყენა მხატვრული რეალიზმის წინამორბედთა პირველ რიგებში.

თეატრმა თითქოს ამოცანად დაისახა კლასიკოსთა მხატვრული ნაწარმოებების გასცენიურებით ეჩვენებინა ჩვენი ხალხის ახლო ისტორიული წარსული. „მეჯღანუაშვილით" მან შეჰკრა ის რკალი, რომელიც დაიწყო „ჩატეხილი ხიდით" და „ნინოშვილის გურიით".

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის" თემატიკური ფონი მეტად განსაზღვრულია. აქ არ არის ნაჩვენები იმდროინდელი საზოგადოების ყველა ფენა. მოთხრობის სიუჟეტი ქალაქის ცხოვრების ფონზე იშლება. ნაწარმოების მთავარი იდეაა — გვიჩვენოს ბურჟუაზიის დაბადების ორგანიული პროცესები და გზადაგზა გამოააშკარაოს ძველი, გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის — თავად-აზნაურობის გადაგვარება-დაკნინება და ყველა ამ მოვლენასთან დაკავშირებული სიძნელეები და ტკივილები. ავტორი ნათლად ხედავს, რომ ფული ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების მეფედ, რომ ისტორიულ ასპარეზზე გამოდის და ეუფლება ცხოვრებას ის ფენა, რომელიც ფულს ფლობს. ამიერიდან ფული და ბურჟუაზია ხდებიან ყველაფრის შემძლედ. ავტორი უსათუოდ თანაუგრძნობს ამ ახალ პროცესს.

ნაწარმოების მთავარი გმირი — სოლომონ მეჯღანუაშვილი ახალგაზრდა ბურჟუაზიის წარმომადგენელია. იგი ძლიერი ნებისყოფისა და გასაოცარი მოთმინების ადამიანია. სოლომონ მეჯღანუაშვილი გაჭირვებასა და გამოუთქმელ სილატაკეში ცხოვრობს და აცხოვრებს ცოლშვილს. ჩარჩ-ვაჭრობით შენაძენ ფულს კი საიდუმლოდ აგროვებს, და ერთ დღეს, როცა დასთვლის მთელ ამ დაგროვილ დოვლათს, გაოცდება, თვითონაც არა სჯერა, რომ ღატაკი სოლომონი მილიონერი ყოფილა. ამის შემდეგ მან, ნათლია ოჰანეზას რჩევით, ახლებური ცხოვრება დაიწყო. ფულმა გზა გაუკაფა სოლომონს სასახლეებისაკენ, „მაღალ" საზოგადოებისაკენ. ფულმა უბრალო სოლომონი, რომელსაც მანამდე არავინ ყურადღებას არ აქცევდა, ახლა ყველაზე ძლიერი გახადა, დააყენა იგი მანამდე გაბატონებული საზოგადოებრივი ფენებისა და წარჩინებული წრეების ყურადღების ცენტრში. მართალია, თავად-აზნაურობა ქედმაღლობს, დასცინის გამდიდრებულ ღატაკს, ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ძველი ბრწყინვალება და არ ჩასთვალოს სოლომონ მეჯღანუაშვილი თავის თანასწორად, მას არა სურს იცნოს ახალი კლასის ძალა... მაგრამ ფული და სინამდვილე თავისას აკეთებენ. ამასთან მწერალს გამოყვანილი ჰყავს აგრეთვე ფეოდალური ახალგაზრდობის ნაწილი, რომელსაც განათლება რუსეთში მიუღია. ეს ახალგაზრდობა ხედავს, რომ თავად-აზნაურობას ნიადაგი ეცლება. იგი თავის უკანასკნელ დროს ფუქსავატ და უაზრო ცხოვრებაში ატარებს. ამ ახალგაზრდობას თავისებურად ესმის ახალგაზრდა ბურჟუაზიის მნიშვნელობა და ცდილობს შეეგუოს ახალ ისტორიულ პროცესს.

ამგვარად არდაზიანს მოთხრობაში ასახული აქვს რთული საზოგადოებრივი პროცესები. მთელი ამ მოვლენების სცენიური გახსნა მოითხოვს დიდ მხატვრულ ოსტატობას, მით უმეტეს, რომ მანერა, რომლითაც დაწერილია მოთხრობა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", სცენიური გაფორმებისათვის ნაკლებ დრამატიულ მასალას იძლევა. ნაწილობრივ ამ სიძნელით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პიესის ავტორმა (იგივე დამდგმელი) ვ. ტაბლიაშვილმა ვერ შესძლო კომპოზიციურად მთლიანი პიესის მოცემა. მართალია, პიესაში საკმაოდ რელიეფურად მოსჩანს მწერლის ძირითადი იდეა, მისი სრული ტიპაჟი და ის ახალი მხატვრული სახეები, რომლებითაც ყურადღებას იქცევს არდაზიანის „მეჯღანუაშვილი", მაგრამ ყოველსავე ამას მაყურებელი ხედავს მხოლოდ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, როცა იგი თავის ცნობიერებაში დრამატურგისაგან დამოუკიდებლად სწმენდს პიესას ზედმეტი ადგილებისაგან და მთავარ ხაზებს, მომენტებს ლოგიკურად აკავშირებს ერთმანეთთან. პიესაში ნაკლებად არის დაცული ლოგიკური მთლიანობა სურათიდან სურათზე გადასვლის დროს. სურათები ყოველთვის არ მისდევენ ერთ მთავარ დრამატურგიულ ხაზს. ამ ნაკლის მიუხედავად, პიესა მაინც დამაკმაყოფილებლად არის გაკეთებული.

მთავარი მაინც სპექტაკლია. შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ პიესაზე გამოვთქვით, სპექტაკლის მიხედვით შეგვიმუშავდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პიესის ნაკლი მთლიანად გადადის სპექტაკლში. პიესა და სპექტაკლი სხვადასხვა მხატვრული ხარისხისაა. ზემოთ აღნიშნული ნაკლი პიესისა გავლენას ახდენს სპექტაკლზე, მაგრამ, ვერ ანელებს მაინც სპექტაკლით მიღებულ ბრწყინვალე შთაბეჭდილებას. რეჟისორი რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო პიესის ავტორისაგან, ის, ალბათ, უფრო მკაცრად მოექცეოდა ტექსტს, შეკვეცდა ზედმეტ ადგილებს, შეამცირებდა ან სულ ამოიღებდა ზოგიერთ სურათს (მაგ., კნეინებისა და ახალგაზრდა თავადების შეხვედრის უკანასკნელ სურათს და სხვა.) და, ამრიგად, უფრო მკვრივს, თანმიმდევრულად უფრო მთლიანს ემოციურად უფრო ძლიერს გახდიდა სპექტაკლს. მაგრამ იმ სახითაც, როგორიც იგი ახლაა, რეჟისორმა შეჰქმნა საუკეთესო და მრავალმხრივ საგულისხმო სპექტაკლი.

რეჟისორმა ვ. ტაბლიაშვილმა ამ თავისი სადებიუტო სპექტაკლით გამოამჟღავნა მაღალი მხატვრული გემოვნება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, ხელოვნებისათვის აუცილებელი გაბედულება და აშკარა რეჟისორული ნიჭი. როგორიც არ უნდა იყოს სპექტაკლის ნაკლი, ერთი ნათელია, — იგი მოცემულია კულტურულად და გემოვნებით. ახალგაზრდა რეჟისორისათვის უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მან დამოუკიდებელ შემოქმედებითს გზაზე გამოსვლის პირველ ცდითვე მიაღწია სპექტაკლის სტილის ასეთ მთლიანობას და მაყურებლის დიდი ყურადღება მიიქცია.

რეჟისორს საინტერესოდ და მკაცრი სიზუსტით აქვს მოფიქრებული ცალკეული მიზანსცენები. განსაკუთრებით საინტერესოა ის მხატვრულ-რეჟისორული სიახლე, რომელსაც სპექტაკლში ვხვდებით.

სპექტაკლი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" იმითაც იმსახურებს ყურადღებას, რომ მთავარ როლებში საკმაოდ ცნობილ მსახიობებთან ერთად გამოდიან ახალგაზრდა აქტიორები, რომლებიც პირველად გრძნობენ თავიანთ სრულ პასუხისმგებლობას მაყურებლის წინაშე.

პიესის პერსონაჟები სპექტაკლში საკმაოდ მოფიქრებულად არის დამუშავებული.

პიესაში ყველაზე რთული სახეა სოლომონ მეჯღანუაშვილი. იმის გამო, რომ მეჯღანუაშვილი პირველად ღარიბი და წვრილი მოვაჭრეა და შემდეგ მილიონერი ხდება, ფსიქოლოგიურად სრულიად განსხვავებული ხასიათების შემცველია სპექტაკლის დასაწყისსა და დასასრულს. ეს სხვაობა მსახიობ შ. ღამბაშიძეს კარგად აქვს გაგებული და ათვისებული. იგი რეალისტურ და მხატვრულად დამაჯერებელ სახეს ჰქმნის ღარიბი და შემდეგ გამდიდრებული ვაჭრისას.

მიმზიდველი და ამაღლებულია ვერიკო ანჯაფარიძის ელენე. მსახიობმა დაურღვეველ მთლიანობაში მოგვცა ახალგაზრდა ელენეს გარეგნული სახე და შინაგანი სამყარო. ოსტატურად შესრულებულ სახეში მსახიობმა უხვად ჩააქსოვა შთამაგონებელი სითბო და მთელი უშუალობით გადაგვიშალა ელენეს სულიერი საიდუმლოებანი. ანჯაფარიძის თამაში უაღრესად სადაა და ბუნებრივი, ხოლო მისი ელენე ემოციურად ძლიერი.

ასეთივე უშუალოა და ბუნებრივი ნიკო გოცირიძის ოჰანეზა და ელ. ჩერქეზიშვილის მაკრინე. მათი თამაშის მხატვრული სისადავე არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. მათი მოძრაობა, მიმიკა, მეტყველება ისე ორგანიულად არის შეხამებული სახის კოლორიტულ თავისებურებასთან, რომ სცენაზე მაყურებელი ხედავს ცოცხალ ადამიანებს, რომლებიც თავისუფალნი არიან ზედმეტი აქტიორული ჟესტებისგან.

უნდა აღინიშნოს კ. კვანტალიანის უაღრესად ნიჭიერი თამაში. პეტრე ურცხვაძის სახით მსახიობმა შეჰქმნა დამოუკიდებელი, ახალი და ორიგინალური ხასიათი. ამ როლით კვანტალიანმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ იგი მაღალი ტექნიკის მსახიობია.

ცოცხალი და საინტერესო ტიპია ა. ჟორჟოლიანის ალექსი კერპაძე. ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ პროვინციალური ქალაქის ჭორიკანა მეშჩანების ტიპიური სახეები შეჰქმნეს ჟორჟოლიანმა და კვანტალიანმა.

კარგად ასრულებს სოფიოს (მეჯღანუაშვილის ცოლი) როლს ს. თაყაიშვილი. თაყაიშვილის სოფიო მგრძნობიარე სახეა. მასში კარგად აქვს გადმოცემული მსახიობს გატანჯული დედის სულიერი ტკივილები და შინაგანი ფსიქოლოგიური განცდები, რომლებიც გამოწვეული იყო ჯერ გაჭირვებული ცხოვრებით და მერე დაჭლექებული ქალიშვილის სიკვდილით.

გულწრფელი და ადამიანურია თ. ჩარკვიანის მიერ განსახიერებული თამარი (მეჯღანუაშვილის ქალიშვილი). მსახიობმა შეჰქმნა გულუბრყვილო, გაუნათლებელი და გულწრფელად შეყვარებული ქალიშვილის მართალი სახე.

ახალგაზრდა მსახიობი ლ. შატბერაშვილი ასრულებს ალექსანდრე რაინდაძის როლს. რაინდაძე პიესაში ერთ-ერთი მთავარი და პასუხისმგებელი მომქმედი პირია. იგი ახალგაზრდა თავადიშვილია, რომელმაც განათლება რუსეთში მიიღო, და შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ სამსახური ვერ იშოვნა, რადგან იმ ადგილზე, სადაც იგი სამსახურის დაწყებას ფიქრობდა, მეჯღანუაშვილმა თავისი შვილი მოაწყო. იგი უფრო პროგრესიულად მოაზროვნეა, ვიდრე სამშობლოში დარჩენილი თავადაზნაურული ახალგაზრდობა, რომელიც მთელ დროს ქეიფსა და ფუქსავატ ცხოვრებაში ატარებს. ალექსანდრე რაინდაძე პიესაში წმინდა ინტელექტუალური ტიპია. ამდენად ის ნაწილობრივ ცივია და მშრალი. ასეთივეა იგი ახალგაზრდა მსახიობის შესრულებით. ლ. შატბერაშვილი კარგად ასრულებს ამ როლს. მისი რაინდაძე ძირითადად მთლიანია, მაგრამ ეს მთლიანობა, ჩვენის აზრით, მსახიობს არ უნდა წარემართა სწორხაზოვნად, ალაგ-ალაგ მასში მეტი სითბო უნდა შეეტანა.

კარგად ასრულებენ თავადის ქალების როლებს მსახიობები ც. წუწუნავა, მ. დავითაშვილი, მ. კოკაია.

მოქეიფე თავადის დამახასიათებელ სახეს ჰქმნის გ. შავგულიძე.

დამაკმაყოფილებელია მხატვრობა (ლ. ჭუბაბრია, ირ. ჭიჭინაძე). სპექტაკლის მხატვრული გაფორმება სავსებით შეეფერება სპექტაკლის სტილს.

ა. კერესელიძის მიერ სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკა კარგად ჟღერს. იგი მეტად უწყობს ხელს წარმოდგენის მთლიან სახეს.

კარგი იქნებოდა, რომ ახალგაზრდა რეჟისორს თავისი შემოქმედებითი უნარი თანამედროვე პიესაზედაც ეცადა.

თეატრის კოლექტივმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს თანამედროვეობის თემატიკას და შეჰქმნას ძლიერი და ამაღლებული იდეურად და მხატვრულად გამართლებული და შთამაგონებელი სპექტაკლები.

ირ. ასტვაცატუროვი

ა. მიცკევიჩის პირველი მთარგმნელებისა და „ფარისის" გარშემო

გრიგოლ აბაშიძე



საქართველოში გადმოსახლებული პოლონელები იყვნენ თავიანთი დიდი პოეტის, მიცკევიჩის პირველი პოპულარიზატორები ჩვენში.

1832 წლის შეთქმულებამ თავისებური როლი ითამაშა მიცკევიჩის ქართულად თარგმნისა და გაცნობის საქმეში. უფრო მეტიც, 1832 წლის შეთქმულების ზოგიერთი მონაწილე მიცკევიჩის „ფარისის" კითხვის ინტერესით გამოცხადდა პირველ საიდუმლო სერობაზე.

„ივნისის ბოლო რიცხვებში — მოგვითხრობს დიმიტრი ყიფიანი — თ. ელიზბარ ერისთავმა ავთანდილოვის პირით, სხვათა შორის, მეც დამპატიჟა თავის ბინაზე სადილად. ის ცხოვრობდა მაშინ თავის სიძის—კოლეჯის მრჩეველ მელნიკოვის სახლში. მე გავუარე ავთანდილოვს, მერე ვახტანგ ორბელიანს და ჩვენ სამნი წავედით ელიზბართან, სადაც ჩვენ დაგვხვდნენ: ზემოდ ნახსენები სოლომონ ივანეს-ძე რაზმაძე, დოდაშვილი და ელიზბარის ძმა, არტილერიის პრაპორშჩიკი დიმიტრი. შემდეგ მოვიდნენ: ალექსანდრე ორბელიანი და გიორგი ერისთავი 1-ლი. აქ ელიზბარმა გამაცნო მე თავის ძმას. რომ სტუმრები რამეთი გაერთოთ, სთხოვეს რაზმაძეს წაეკითხა, მის მიერ რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნილი: მიცკევიჩის „ფარისი" (იხ. დიმ. ყიფიანის მემუარები გვ. 40).

პოლონეთის აჯანყება, აჯანყებულთა თავგანწირვა იყო ერთგვარი გამამხნევებელი, ამაღლებელი მაგალითი ქართველებისათვის. მიცკევიჩის „ფარისი" ქართველებს ახსენებდა ამ მაგალითს მარტო იმიტომაც, რომ იგი პოლონელი პოეტის ქმნილება იყო. მაგრამ მთავარი მაინც თვით ლექსის ბუნებაში, მის იდეაში უნდა ვეძიოთ.

მიჰქრის მხედარი უდაბნოში: ჯერ მრისხანე კლდეები ულობავენ გზას, შემდეგ ძერა მისდევს მხედარს, მაგრამ მხედარი არ უფრთხის არც ძერას, არც შავ ღრუბელს, არც ქარისაგან ამდგარ ქვიშის დამაბრმავებელ წინააღმდეგობას, არც საშინელ ურაგანს. იგი ყველაფერს სძლევს, ნებისყოფა იმარჯვებს, ნებისყოფა, რომელიც შეუჩერებელ ქროლვისთვის არის მოწოდებული.

„ფარისის" ვაჟკაცური, თავგანწირული ქროლვის, უძნელეს წინააღმდეგობათა არად ჩაუგდებლობის მაგალითი, შეკრებილ ახალგაზრდებს ამზადებდა იმ დიდი ექზალტაციისათვის, რომლითაც შეთქმულების დიდს საიდუმლოს უნდა ზიარებოდენ.

„ფარისის" პირველი ქართველი მთარგმნელი **სოლომონ რაზმაძეა.** იგი 1832 წლის შეთქმულების თვალსაჩინო მონაწილე იყო. დაბადებულა 1798 წელს. სოლომონ რაზმაძე იმ თავითვე რუსეთში გადახვეწილ ბატონიშვილთა წრეში მომხვდარა და მათ გავლენაში მოქცეულა. ზედმიწევნით შეუსწავლია სპარსული, თურქული და სომხური ენები. ალბად აღმოსავლური ენების კარგი ცოდნა იყო საფუძველი შემდეგში სოლომონ რაზმაძის სპარსეთში გაგზავნისა სპეციალური მინდობილობით. სოლომონი თბილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან დიმიტრი ბატონიშვილის სარეკომენდაციო წერილებით და დავალებებით. დაამყარა რა კავშირი შეთქმულების თბილისის ცენტრსა და პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებს შორის, რაზმაძე გაემგზავრა სპარსეთს. სპარსეთში იგი უნდა შეხვედროდა ალექსანდრე ბატონიშვილს და კავშირი უნდა განეხორციელებინა ინგლის-საფრანგეთის საელჩოებთან.

შეთქმულების გახსნას მოჰყვა სოლომონ რაზმაძის დაპატიმრებაც. მის ჩამოსაყვანათ სპარსეთს სპეციალური კაცი გაიგზავნა.

1834 წელს რაზმაძე უკვე პენზაშია გადასახლებული, როგორც მესამე ხარისხის დამნაშავე. სასჯელი მისთვის განსაკუთრებით მკაცრი იყო, გარდა იმისა რომ იგი საუკუნოდ უნდა ყოფილიყო გადასახლებაში, მას ეკრძალებოდა გადასახლების ადგილიდან გასვლა.

სოლომონ რაზმაძეს ისე, როგორც სოლომონ დოდაშვილს არ ეღირსა შეწყნარება, ალბად, როგორც უგვაროს; შეთქმულების უფრო დიდი მონაწილენი კი მალე იქნენ შეწყნარებულნი და დაწინაურებულნი მათი ბრწყინვალე წარმოშობის ხათრით.

რაზმაძე პეტერბურგში ცხოვრების ნებართვას თხოულობდა, ეს ნებართვა მას უკვე გაეგზავნა 1864 წელს, მაგრამ „ფარისის" მთარგმნელი უკვე მკვდარი იყო.

„ფარისის" ს. რაზმაძის თარგმანი ვერ გამოირჩევა ბრწყინვალე შესრულებით. ლექსი ხშირად მოიკოჭლებს და ზოგჯერ უხეიროდ ამღერებული პროზის შთაბეჭდილებას სტოვებს:

„...მოლანდებაა თუ მაცთუნებენ
თვალნი,
მარტო არა ვარ ამ უდაბნოსა,
შემოსაფრულნი, ვხედავ ბანაკი ელავს,
სჩანან ამაყად სიმაგრენი მაღალნი,
ბზინავენ ჭუნენი, ჩაჩქანი
ელვარებენ..." და სხვ.

ეტყობა არც დედანთან უნდა იყოს ახლო თარგმანი. მაგალითად: პალმა თარგმნილია **ალვად** (უდაბნოში ალვა არ ხარობს).

რაზმაძის თარგმანში გამართული სტრიქონებიც გვხვდება, მთლიანად კი მასში ცუდად არაა გადმოცემული მცხუნვარე უდაბნოს ფერი და ჰაერი, თავგამეტებული მხედრის შეუჩერებელი სწრაფვა.

თვითონ მთარგმნელი თარგმანზე არ ყოფილა მაღალი წარმოდგენის, რასაც მის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათი მოწმობს: „ბრწყინვალე კნიაზო გრიგოლ!... ეს რვეული ჩემგან გადმოჩმახვილი ფარისი არის, წაკითხვის ღირსი კი არ არის, მაგრამ რათგან ასე მწყალობ, რომ თავს იმდაბლებ ჩემს ნათარგმნის წასაკითხავად ამად მოგართვი".

○

მიცკევიჩის მეორე პოპულარიზატორი ცნობილი ქართველი დრამატურგი **გიორგი ერისთავი** იყო.

გიორგი ერისთავი არა მარტო თარგმნიდა მიცკევიჩის ლექსებს. ვიდრე დრამატურგიაზე გადავიდოდა ერისთავი, როგორც ცნობილია ლექსებს სწერდა. ეს ლექსები, რათქმა უნდა, არ შეიძლება მისი დიდი თანამედროვეების გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის და ნიკ. ბარათაშვილის ლექსებს შევადაროთ. ერისთავის ლექსები არც იდეური სიღრმით და მრავალმხრივობით გამოირჩევიან, არც ტექნიკური შესრულების უნაკლობით. მაგრამ ამ ლექსებში არის განწყობილება, გიორგი ერისთავის თაობისა და დროის დამახასიათებელი. ამ განწყობილებამ მიიყვანა გიორგი ერისთავი მიცკევიჩთან, მოაქცია მისი პოეზიის გავლენის ქვეშ და გახადა მისი მთარგმნელი.

გიორგი ერისთავი როგორც 32 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე 1834 წელს გაადასახლეს ქალაქ ვილნოში. „მივალ, გარნალა სული აქ მრჩება"-ო სწერს გადასახლებაში მიმავალი პოეტი.

იგი თანდათან შეეგუა ვილნოს ცხოვრებას, შეისწავლა პოლონური ენა, დაიწყო იქაურ უნივერსიტეტში ლექციებზე სიარული, დაუახლოვდა პოლონელთა ოჯახებს და საერთოდ არც ისე მოსაწყენად მოაწყო თავისი ცხოვრება.

როგორც სჩანს გადასახლებაში აღძვრია ინტერესი მიცკევიჩისადმი პოეტს. გ. ერისთავის ლიტერატურული ინტერესები შემდეგში შეიცვალა, მაგრამ მიცკევიჩი მისთვის მუდამ სახსოვარ და საყვარელ პოეტად დარჩა. ევროპაში სამოგზაუროდ მიმავალ ერისთავს თავის სიჭაბუკის გატაცების, მიცკევიჩის ლექსი აგონდება: „ქალები, მრავალნი კაცნი კაიუტაში ჩავიდნენ, მე დავრჩი მარტო და კაპიტანი პალუბაზედ. უშიშრათ ვფიქრობდი. მომაგონდა მიცკევიჩის სონეტი, რომელიც ზღვისა ზვირთთა ადარებს პოეტს. ეუბნება აიუდაღის კლდეზედ დაყრდნობილს: „ჭაბუკო მომღერალო, შენ ემსგავსები ზღვისა ზვ.რთთა, რომელნიცა შეეხეთქებიან კლდეთა, და გამოაქვთ სხვადასხვა ძვირფასი ნივთი და დაუტოვებენ კიდესა, აგრეთვე ამღელვარებული, მივარდები შენსა ჩანგსა და განაფრქევ მარგალიტებ მწყობრთა ლექსთა კაცთათვის" (გ. ერისთავი. თხზულებანი, 1936 გვ. 337).

გადასახლების პერიოდი ერისთავისთვის ნაყოფიერი იყო: ბევრი საკუთარი ლექსი დაწერა და ბევრიც თარგმნა. კერძოდ, მიცკევიჩიდან თარგმნა: „არამხანის საფლავნი", „პილიგრიმი", „პოტოცკის საფლავზე", „ბაღჩისარაი", „აკერმანის მინდორი". აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერისთავი მიცკევიჩის განსაკუთრებით „ყირიმის სონეტებით" დაინტერესებულა: ყველა დასახელებული ლექსი „ყირიმის სონეტებიდანაა".

თარგმანების გამო შევნიშნავთ: მის მიერ თარგმნილ სონეტებში სონეტის ფორმის გარეგნული ნიშნებიც აღარ რჩება, თავი რომ დავანებოთ კატრენებისა და ტერცინების სავალდებულო სტროფულ თანამიმდევრობას, თარგმანებში ზოგჯერ სონეტის ელემენტარული ნიშანიც—14 სტრიქონიც აღარ არის შენახული.

მაგალითად, სონეტი „ბაღჩისარაი" ურითმოდაა თარგმნილი, იგი გაჭიმულია 22 სტრიქონზე (!).

მთარგმნელი ანგარიშს არ უწევს ორიგინალის ფორმას; სადაც სურს იქ გარითმავს, სადაც ვერ ჩაეტევა, იქ აგრძელებს ლექსს ან კიდევ პირიქით.

ასე მაგალითად სონეტი, „არამხანის საფლავნი" 15 სტრიქონში ურითმოდაა თარგმნილი; „პოტოცკის საფლავზე" — 16 სტრიქონში —მართალია რითმითაა თარგმნილი, მაგრამ რითმები სუსტია, ხოლო კატრენებისა და ტერცინების კანონების დაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

შედარებით უკეთ არის თარგმნილი „ყირიმის სონეტების" უბრწყინვალესი ლექსი „აკერმანის მინდორი"—აქ 14 სტრიქონიც უცვლელადაა გადმოტანილი, სონეტისათვის სავალდებულო სტროფული კომპოზიციაც შედარებით უკეთაა დაცული. სონეტ „პილიგრიმის" თარგმანიც აგრეთვე იცავს სტრიქონთა სავალდებულო რაოდენობას, მაგრამ აქ უკვე მთელი ლექსი მიჯრილი რითმითაა თარგმნილი. აღსანიშნავია რომ მე-11 სტრიქონიდან მთარგმნელი ცვლის ლექსის რიტმს—დაბალი შაირიდან მაღალ შაირზე გადადის

და მე-13 სტრიქონზე ისევ დაბალ შაირს უბრუნდება:

სონეტში ასეთი რიტმიული თავისუფლება შეუწყნარებელია და რა თქმა უნდა 14 სტრიქონში სამჯერ ინტონაციის გამოცვლა გაჭირვებასაც მოწმობს.

ის გარემოება, რომ გიორგი ერისთავის მიერ თარგმნილი სონეტები ტექნიკურად ასე სუსტნი არიან, რა თქმა უნდა მარტო მთარგმნელის ნიჭის შესაძლებლობით არ უნდა აიხსნას. არ უნდა დავივიწყოთ რომ ქართულ ლექსთწყობაში სონეტს ერისთავამდის არავითარი ტრადიცია არ გააჩნდა. ბოლოს და ბოლოს გიორგი ერისთავის მიერ თარგმნილი „აკერმანის მინდორი" არის რამდენადაც ვიცით, ქართულს პოეზიაში პირველი სონეტი (თუმცა ზოგიერთი უკანონობით) ესეც ერისთავის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

დამახასიათებელია რომ ერისთავს უთარგმნია ისეთი ლექსები, რომლებიც ან ქვეყნის არარაობას და წარმავლობას გამოხატავენ, როგორც მაგალითად „არამხანის საფლავი" და „ბაღჩისარაი", ან ისეთები, რომლებშიც სამშობლოს სიშორით გამოწვეული სევდა და მამულისადმი სიყვარულია გამოსახული. ასეთებია „აკერმანის მინდორი", „პილიგრიმი", და „პოტოცკის საფლავზე".

ამ თარგმანებით გ. ერისთავი საკუთარ განწყობილებასაც გამოხატავდა.

როცა ქართველი მწერლების მიცკევიჩთან დამოკიდებულებაზეა ლაპარაკი მთავარი თემა მაინც **ნიკოლოზ ბარათაშვილია,** ყველაზედ მნიშვნელოვანი მაინც „ფარისისა" და „მერანის" ურთიერთობაა.

„ფარისს" ნიკოლოზ ბარათაშვილი ადრე, ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გასცნობია. აი რას მოგვითხრობს ი. მეუნარგია ბარათაშვილის ბიოგრაფიაში: „რუსულ გრამატიკას და ენას ასწავლიდა მაღალ კლასებში მასწავლებელი დემენტიევი, რომელიც ეხლაც ცოცხალია და იმყოფება ქალაქ ტფილისში. ამან კარგად იცოდა თავის ხელობა და მისმა შეგირდებმა — მათ შორის ბარათაშვილმა—ჩინებულად ისწავლეს რუსული ენა... მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცკევიჩის ლექსს „ფარისს" რუსულად ნათარგმნს".

დემენტიევის დეკლამაციით აღძრული ინტერესი, შემდეგში უფრო გაღრმავებულა.

„ფარისის" რაზმაძისეული თარგმანი რა თქმა უნდა ცნობილი იქნებოდა ბარათაშვილისათვის, ამის საბუთად მარტო ისიც კმარა, რომ ეს თარგმანი გრიგოლ ორბელიანთან ინახებოდა.

მოსმენილი ჰქონდა თუ არა ბარათაშვილს „ფარისი" პოლონურ ენაზე, ამის თქმა ძნელია. საფიქრებელი კია რომ თბილისში მყოფი პოლონელები (კერძოდ პოეტი ზაბლოცკი) ბარათაშვილს მისცემდენ საშუალებას განეცადა ორიგინალის მუსიკა.

პირველად „ფარისისა" და „მერანის" მსგავსებას ი. მეუნარგიამ და კიტა აბაშიძემ მიაქციეს ყურადღება. „ჩვენ კარგად ვიცით რომ ეს ლექსი დაწერილია მიცკევიჩის „ფარისის" მიმსგავსებით. რასაკვირველია ამით სრულიადაც არ მცირდება ღირსება ამ ლექსისა —სწერდა კიტა აბაშიძე—ჩვენს მგოსანს ნასესხები აქვს არაკი ლექსისა, ნასესხები აქვს მრავალი სიტყვები თვით ლექსისა, ეგრედ წოდებული პოეტური ეპიტეტები" (იხ. კ. აბაშიძე „ეტიუდები" ტ. I).

კ. აბაშიძე, რა თქმა უნდა მართალი იყო, არაკი ლექსისა, როგორც იგი უწოდებს, ორივე შედევრს საერთო აქვს: თავგანწირული მხედარი, რომელსაც არ ეშინია არავითარი წინააღმდეგობის, მიაქროლებს მერანს წინ, უსაზღვროებისაკენ. განსხვავება იმაშია, რომ „ფარისს" წინ რიგრიგობით უხდება ამ წინააღმდეგობათა დაძლევა: ქარის, ღრუბლის, კლდეების, ურაგანის და სხვ. ბარათაშვილის ლექსში მარტო ერთი ყორანია.

პოეტის ფანტაზიისათვის რა თქმა უნდა საკმაო იყო „ფარისის" ძერა თუ ქორი (რაც ბარათაშვილთან ყორანს უდრის), რომ ლექსის სრულიად განსხვავებული იდეა დაბადებოდა.

ფარისი ჰკლავს ძერას და განაგრძობს ქროლვას, ბარათაშვილს კი უკან მოსჩხავის თვალბედითი ყორანი და პოეტი თუმცა მიმართავს თავის მერანს: „გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი"-ო, მაინც დარწმუნებულია, რომ შავი ყორანი გაუთხრის საფლავს.

ბარათაშვილის „მერანში" „ფარისის" არსი კონდენსირებულია, მიცკევიჩის საკმაოდ გრძელი ბალადის თანდათან მაღლა მიმავალი დინჯი დინება ერთ ღრმა ამოსუნთქვაზეა დაყვანილი.

„ბარათაშვილმა ისარგებლა შემთხვევით—სწერს იქვე კ. აბაშიძე—ისარგებლა მიცკევიჩის ლექსით, მაგრამ უფრო ღრმა ნიადაგზე დააყენა, საგნის არსებით მხარეს შეეხო, საგნის მთავარ აზრს ჩაჰკიდა ხელი"-ო კ. აბაშიძე ამ შემთხვევაშიც მართალია.

განსხვავება ამ ლექსებს შორის უფრო მკაფიოდ ფინალში იგრძნობა: ფარისი ნახულობს დასასრულს, იგი კვდება შერიგებული და ზეცას უერთდება. მერანი კი ისევ შეუჩერებლად განაგრძობს ქროლვას, აქ არ არის ბოლო, არ არის მიზანი, არ მოსჩანს პერსპექტივა, რომლის წინაშე შეჩერებული მერნის წარმოდგენა შეიძლებოდეს.

არის კიდევ მეორე უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება: „ფარისში" არსად ერთი სიტყვაც არ არი მხედრის მოვალეობაზე, იგი არსად არ ფიქრობს იმაზე, რომ თავის დაღუპვით გზის სიძნელე გაუადვილოს თავის მოძმეებს. მერანში კი მაჟორით ჟღერს ეს დიდი სამოქალაქო მოტივი, რომელიც შემდეგ თერგდალეულების და საერთოდ ქართული პოეზიის ლეიტმოტივად იქცევა.

მსგავსება არა მარტო სიტყვებისა და ეპიტეტების განმეორებაშია, ორივე ლექსის გარეგნული ფორმაც ერთნაირია: „ფარისი" დაწერილია ლოგაედური ლექსით, სხვადასხვა ზომის სტროფთა ურთიერთ შენაცვლებით. „მერანშიაც" თოთხმეტ მარცვლიან სტროფებს 20 მარცვლიანი სტროფები სცვლიან და პლასტიურად მღელვარე ზღვის შთაბეჭდილებას იძლევიან: თითქო პატარა ტალღა ჩქარა მოდიოდეს და უკან უფრო დიდი, ძლიერი ზვირთი მოსდევდეს დინჯად.

ჩვენთვის ნათელია „მერანის" სათავეები. მას პროტოტიპი არა აქვს; მასში მართალია მკრთალად, მაგრამ მაინც მოსჩანს რუსთაველისა და მიცკევიჩის გენიის კვალი.

პოეტის ფანტაზიისათვის ძალიან ცოტა არის ხშირად საკმაო, სწორედ ეს ცოტა არის ის, რაც მიცკევიჩის „ფარისს" აახლოვებს ბარათაშვილის „მერანთან".

გალაქტიონ ტაბიძის ახალი ლექსების კითხვის საღამო მწერალთა კლუბში

სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის ახალი ლექსების კითხვის საღამომ, რომელიც 27 იანვარს მწერალთა კლუბში მოეწყო, დიდძალი მკითხველი საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა მოიზიდა.

საღამო დაიწყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივნის **ამხ. ირაკლი აბაშიძის** შესავალი სიტყვით.

„დღევანდელ საღამოს — სთქვა მან, — ეწყობა თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი პოეტის გალაქტიონ ტაბიძის უშუალო შეხვედრა თავის მკითხველებთან. გააცნობს რა თავის ახალ ლექსებს მკითხველ საზოგადოებას, იგი ამით ერთგვარ შემოქმედებითს ანგარიშს წარუდგენს მას, რომ მკითხველებმა მკაფიო და გარკვეული წარმოდგენა იქონიონ, თუ რა გზით და როგორ ვითარდება მისი პოეზია.

შემდეგ ამხ. ირ. აბაშიძე მოკლედ ახასიათებს რა გალაქტიონ ტაბიძის დიდ როლს ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში, ამბობს, რომ გალაქტიონ ტაბიძემ ქართველი ხალხის სიყვარული დაიმსახურა იმით, რომ მან ოქტომბრის წინადროინდელ პოეტებიდან პირველად უმღერა მთელი ხმით და დიდი მღელვარებით დიდ ოქტომბერს, გახდა რა ამავე დროს საბჭოთა ადამიანის გულის მესაიდუმლე.

მოხსენება გალაქტიონ ტაბიძის ახალი ლექსების შესახებ წაიკითხა **ამხ. შალვა რადიანმა**. ვიდრე გალაქტიონ ტაბიძის ახალ ლექსებს შეეხებოდა მომხსენებელი შეჩერდა მის ადგილსა და როლზე ქართულს მწერლობაში. გალაქტიონ ტაბიძე უაღრესად რთული მოვლენააო, იგი შექმნა ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებელი ჩვენში, მან ორგანიულად შეაერთა ევროპული და ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციები. თავისი იდეური მისწრაფებებით იგი არღვევს სიმბოლიზმის ფარგლებს და უკავშირდება XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ პოეზიას. როგორც რევოლუციის პოეტს, გალაქტიონ ტაბიძეს ახასიათებს მაღალი იდეურ-პოლიტიკური პათოსი და რეალისტური სისადავე. არჩევს რა მის ახალ ლექსებს („ჩემი სიმღერა“, „სადღაც ყინულზე“, „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“, „მთვარის ნაამბობიდან“, „გორი“, „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“, „ვიგონებ ყრმობას“ და სხვ.), მომხსენებელი დაასკვნის, რომ ბევრი ამ ლექსთაგანი დიდი პოეზიის სიმაღლემდე ადისო. აზრების სირთულე ამ ლექსებში არ არღვევს თხრობის სისადავეს და მუსიკალობასო. გალაქტიონ ტაბიძე ამ ლექსებით რჩება რა რომანტიული ლექსის ვირტუოზად, ინარჩუნებს თავის მაღალ ადგილს ქართულ პოეზიაშიო.

შემდეგ თავისი ახალი ლექსების წასაკითხად ტრიბუნაზე გამოდის გალაქტიონ ტაბიძე, რომელსაც აუდიტორია მქუხარე ტაშით ეგებება. პოეტი მღელვარებით და ღრმა განცდით კითხულობს თავის ახალ ლექსებს: „ვიგონებ ყრმობას“, „რატომ ეძახიან საქართველოს პოეზიის მხარეს“, „უცხოეთის ცის ქვეშ“, „გორი“, „ლილე“, „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“. საზოგადოება ყოველი ლექსის წაკითხვის შემდეგ ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებდა პოეტს.

დასასრულ, გალაქტიონ ტაბიძის ახალი ლექსებიდან მიღებული თავიანთი შთაბეჭდილებები აუდიტორიას გაუზიარეს მწერლებმა **ე. ასტვაცატუროვმა, გ. ქუჩიშვილმა, ვ. წულუკიძემ და ბ. ჟღენტმა.**

გალაქტიონ ტაბიძის ახალი ლექსების ღრმა ლირიზმი, ემოციურობა, მელოდიურობა და იდეური სიმახვილე,—სთქვეს ამ ამხანაგებმა,—ცხადჰყოფს ყველასათვის, რომ პოეტი კვლავ წინ მიუძღვის საბჭოთა პოეზიის განვითარებას, რომ მას მოეპოვება დაუშრეტელი შესაძლებლობა კვლავ გაამდიდროს საბჭოთა ლიტერატურა ბრწყინვალე პოეტური მარგალიტებით.

საღამოს დასასრულს აუდიტორიამ ოვაციებით გააცილა ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი.

ილო მოსაშვილის საღამო მოსკოვის მწერალთა კლუბში

მოსკოვის მწერალთა კლუბში 19 იანვარს გაიმართა ორდენოსანი პოეტის ილო მოსაშვილის შემოქმედებითი საღამო.

მოხსენებით მწერლის შემოქმედების შესახებ გამოვიდა ვიქტორ გოლცევი. მომხსენებელმა დამსწრეებს გააცნო პოეტის მიერ განვლილი რთული გზა. განსაკუთრებით იგი შეჩერდა მოსაშვილის შემოქმედების უკანასკნელ პერიოდზე, სათითაოდ გაარჩია მისი თვალსაჩინო ლექსები, შეეხო მის პოეტურ თავისებურებას.

მოხსენების შემდეგ ი. მოსაშვილის ლექსების რუსული თარგმანი წაიკითხეს პოეტებმა პ. ანტოკოლსკიმ, ბ. ბრიკმა, კ. ლიპსკეროვმა და ვ. დერჟავინმა. ამავე საღამოზე წაკითხულ იქნა პოეტის ლექსები — თარგმნილი ნ. ტიხონოვისა და ს. სპასკის მიერ.

ლექსების კითხვის შემდეგ ილო მოსაშვილის შემოქმედების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს პ. ანტოკოლსკიმ, მ. ალიგერმა, ნ. ჩხეიძემ, ვ. ავრუშჩენკომ და კ. ლიპსკეროვმა.

მათ ილაპარაკეს იმ ღრმა შთაბეჭდილებებზე, რომლებსაც მათზე ახდენს ი. მოსაშვილის პოეზია.

დასასრულ ილო მოსაშვილმა დამსწრეებს გააცნო თავისი შემოქმედებითი გეგმა.

სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ

ნინო ძიძიგური

„ლიტერატურული საქართველოს“ მიმდინარე წლის მე-2 ნომერში მოთავსებულია ამხ. ალ. სულავას წერილი „საბავშვო ლიტერატურის ზრდისათვის“, რომელშიაც ავტორი ეხება საინტერესო საკითხებს, მათ შორის სახელმძღვანელოს საკითხსაც.

ჩემთვის, როგორც ავტორისათვის, წერილის ეს ნაწილი მეტად საინტერესოა, მით უფრო, რომ ამხ. სულავამ თუ სხვა ავტორები ანონიმურად მოიხსენია, მე მეტად მაგრა გამკენწლა. აი რას სწერს ამხ. სულავა: „დამახასიათებელია ამ მხრივ თუნდაც ნინო ძიძიგურის ცდები. ამ პედაგოგმა თავის მიერ შედგენილ მე-2 კლასის ლიტერ. სახელმძღვანელოში შეაკეთა და ისე შეიტანა ირ. ევდოშვილის ცნობილი საბავშვო მოთხრობა „რთველი“. შემკეთებელმა მწერლის მიერ აღწერილი ერთპიროვნული ოჯახის მაგიერ (ამ მოთხრობაში ოჯახზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ რთველზე, რა თქმა უნდა, ერთპიროვნული მეურნის რთველზე. — ნ. ძ.) საკოლმეურნეო რთველის მსგავსი ამბავი გადმოგვცა. ეს მაშინ, როდესაც ევდოშვილი გარდაიცვალა დიდი ხნით ადრე, ვიდრე ჩვენს სინამდვილეში საკოლმეურნეო ცხოვრება გაჩაღდებოდა. საინტერესოა, რას ფიქრობდა ამ სახელმძღვანელოს ავტორი, როდესაც ასეთ უხეირო მანიპულაციებს აკეთებდა? ან რითი სჯობს მის მიერ გადაკეთებული მოთხრობა ირ. ევდოშვილის ორიგინალს?“

რადგან ამხ. სულავას აინტერესებს, თუ რას ვფიქრობდი მე, როდესაც ამას ვაკეთებდი, ამიტომ მინდა მისი სურვილი დავაკმაყოფილო და ახსნა-განმარტება მივცე, უფრო კი გზადაგზა შევეხო იმ მტკივნეულ საკითხებს, რომლებიც ჩვენს, ავტორების წინაშე დგას.

ჩემი სახელმძღვანელო გამოდის 1926 წლიდან. სხვადასხვა ნაწარმოების წიგნში შესატანად მე იძულებული ვიყავი ზოგჯერ მესარგებლა ძველი სახელმძღვანელოებით, რადგან წიგნის ბაზარზე ყველა მწერლის ნაწარმოები ჯერ კიდევ გამოსული არ იყო. ძველ სახელმძღვანელოებში ავტორებს უკვე ჰქონდათ შეტანილი ცვლილებები, რადგან 8-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის შეუძლებელია მისთვის შეუფერებელი მასალის მიწოდება. მეც ამ ცვლილებით ვსარგებლობდი. მაგრამ ირ. ევდოშვილის „რთველი“ შევასწორე წინასწარ მოფიქრების შედეგად.

1930-31 წლამდე სახელმძღვანელოში „რთველი“ იბეჭდებოდა უცვლელად. ამ წლებიდან კი შეიცვალა მხოლოდ ერთი სიტყვა „მამა“ და მის მაგიერ ვიხმარე სიტყვა „მეთაური“, რადგან მოთხრობაში მამას კარგა მოზრდილი მეურნეობა აქვს, ჰყავს მრავალი ხელქვეითი და მასში აშკარად გამოსჭვივის კერძო მეურნეობის იდეალიზაცია. რა თქმა უნდა, მე სრულიადაც არ მიფიქრია, ამ ერთი სიტყვის შეცვლით მოთხრობისათვის საკოლმეურნეო შინაარსი მიმეცა, რადგან ირ. ევდოშვილის ნაწარმოებს ამ ხერხით საკოლმეურნეო მასალად ვერ გადავაქცევთ. ეს იქნებოდა მექანიკური მეტამორფოზა და მე ასეთ რამეს ვერც ვიკისრებდი. მაგრამ სიტყვა „მამას“ შეცვლამ „მეთაურით“ მოთხრობას მაინც იდეოლოგიურად ჩვენთვის მისაღები იერი მისცა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს სახელმძღვანელოებს მარტო ბავშვები არ სწავლობენ, ამ სახელმძღვანელოებს კითხულობენ მათი მშობლებიც, და, ვცდილობთ კერძო მეურნეობის იდეალიზაციას თავი ავარიდოთ. გასაგები უნდა იყოს ისიც, რომ წიგნებს მარტო ავტორები არ აკეთებენ. სხვა რომ არა იყოს რა, ყოველწლიურად ჩვენი წიგნების გარჩევაში საქართველოს ყველა რაიონის საუკეთესო მასწავლებლები იღებდნენ მონაწილეობას. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთია, 8-9 წლის, ჯერ ნებაგაუმაგრებელი, ბავშვის აზროვნების ჩამოსაყალიბებლად მუშაობა და მეორე, როდესაც ასაკით და ინტელექტით უკვე გამაგრებულ ყმაწვილს ხელში ვაძლევთ მწერლის ნაწარმოებს უცვლელად. ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ მას უკვე გამომუშავებული აქვს კრიტიკის უნარი და შეძლებს მწერლის სათანადო გაგებას.

ვეკითხები ამხ. სულავას, რა დაუშავდა ირ. ევდოშვილს იმით, რომ მე მისი ერთი სიტყვა შევცვალე მეორეთი და მივიღეთ იდეოლოგიურად გამართლებული მოთხრობა, ან რატომ არის ეს უხეირო მანიპულაცია?

პირველი და მეორე კლასის სახელმძღვანელოების შედგენა რთული საქმეა. ამ ასაკისათვის არ გამოდგება ყველა ნაწარმოები, თუნდაც ის საბავშვო მწერლის კალამს ეკუთვნოდეს. პარადოქსად ნურავის მოეჩვენება, თუ ვიტყვი, რომ ყოველწლიურად ვეძებთ მასალას ზოგიერთ საკითხებზე და ვერ ვპოულობთ. ზოგი მასალა წიგნში ყოველწლიურად იცვლება, მაგრამ სავარგისი მაინც არ არის. გასულ წელს პაპანინელთა გმირულ ოთხეულზე მასალა დიდხანს ვეძებეთ და რომ ვერაფერი მოვახერხე, პოეტ ვალ. გაფრინდაშვილის მშვენიერი ლექსიდან ორიოდე ოთხსტრიქონით ვისარგებლე. რა თქმა უნდა, ვალ. გაფრინდაშვილს ის პაწიებისათვის არ დაუწერია, ამდენად რთული იყო, და წელს ის უკვე ამოვიღე.

შიო მღვიმელი ნამდვილი საბავშვო მწერალია. მაგრამ მწერლის უპატივცემლობად ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ზოგი მისი ლექსი გამართვას თხოულობს. მაგალითად, მე ძალიან მჭირდება მასალა სწავლის დაწყებაზე. ასეთი მასალა შიოს აქვს. შევჩერდი ერთ ლექსზე, რადგან მისი შინაარსი ეხება პირველ სექტემბერს. მაგრამ ზოგი ადგილი სრულიად გაუმართავია და მისი შეცვლა აუცილებელია. მაგალითად: „აბა მარდად, ყმაწვილებო, ყველა **შევარდნების** ფრთებით“, **„ჩაგგუგუნებთ** ყურში ზარი“, „ჩუმს და დაობლებულ კედლებს **უნდა მოწაფეთა** ჯარი“, „დღეს მოგელით სიყვარულით თქვენი **დიდი** მეგობარი“. რა დაშავდება, რომ შევარდნების მაგიერ ვიხმაროთ შევარდენის, „ჩაგგუგუნებს“ მაგიერ — ჩამოგძახის, ან ლექსი, თუ საჭიროა, შემოკლდეს? თუ სახელმძღვანელოს შედგენის დროს (მხედველობაში მაქვს პირველი და მეორე კლასის სახელმძღვანელო) არ შევცვალეთ ზოგი ადგილი, უარი უნდა ვთქვათ ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე და მათ ნაცვლად მოვათავსოთ ჩვენი საკუთარი ან საშუალო და დაბალი მწერლების მოთხრობები.

ჩვენ ვკითხულობთ, რატომ არ შეიძლება პირველ და მეორე კლასის სახელმძღვანელოებში შევიტანოთ არა შერყვნილი, არამედ ოდნავ გადაკეთებული, ცალკეული სიტყვებისგან შემოკლებული ნაწარმოებები, მით უმეტეს, რომ უფროს კლასებში მოსწავლეს საშუალება აქვს გაიცნოს მწერლის ნაწარმოებები პირველ წყაროებიდან? თუ ეს ნებადართულია რუსეთში (იხ. მეორე კლასის სახელმძღვანელო ფორტუნატოვისა) და თუ ასევე იქცეოდა იაკობ გოგებაშვილი (ი. გოგებაშვილი ცვლიდა ფოლკლორსაც, ასწორებდა ლექსსაც. იხ. „დედაენის“ 1916 წლის გამოცემების სარჩევი, გვ. 5, 7, 22, 25, 60, და სხვ.), რატომ ჩვენ არ შეგვიძლია ასევე მოვიქცეთ? თუ პირველი და მეორე კლასის სახელმძღვანელოებში არ შევიტანთ ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს, მაშინ ვის ნაწარმოებზე ვასწავლოთ ჩვენ საყვარელ ბავშვებს ენა, ვისი სიტყვით განვუვითაროთ მხატვრული გემოვნება? ყველამ იცის, რომ ვაჟა საბავშვო მწერალიცაა, მაგრამ რომელი მისი ნაწარმოებია დასაძლევი 8-9 წლის ასაკის ბავშვისათვის? ილია ხომ სრულიად უცნობი იქნება მათთვის, თუ მისი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების ამოღებისა და ზოგჯერ მძიმე და დაუძლეველი სიტყვის შეცვლის ნება არ მოგვეცა.

ამხ. სულავა სწორად სვამს საკითხს, როდესაც ამბობს, რომ ნაწარმოებებში ცვლილებები უნდა ხდებოდეს ავტორიტეტული მეცნიერული კომისიების მიერ. მაგრამ ისიც ხომ სწორია, რომ დღემდე ასეთი კომისიები არ არსებობენ, სახელმძღვანელოები კი საბჭოთა სკოლისათვის თითქმის ორი ათეული წელია გამოდიან. ეს მეტად საჭირბოროტო საკითხი ყოველწლიურად ისმება, მაგრამ დახმარებას არავინ არ გვიწევს...

ჩვენ მძაფრად ვაყენებთ საკითხს ავტორიტეტული კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც თუ არ შეასწორებს ნაწარმოებს ასაკის მიხედვით, ჩვენ მიერ წარდგენილ შესწორებულ მასალას განიხილავს, ჩვენს აზრს მოისმენს და მოგვცემს სათანადო მითითებას. ასეთი კომისიის გამოყოფა ეხლავეა საჭირო, რადგან ჩვენ უკვე ვასწორებთ სახელმძღვანელოებს და ამ თვის ბოლოს უნდა წარვუდგინოთ განსახკომს. ვიმეორებ, რომ უმთავრესად ეს შეეხება პირველ და მეორე კლასის სახელმძღვანელოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიტონი კრიტიკა საქმეს ვერ უშველის, თუნდაც ის მეტად მძაფრიც იყოს, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი პირველად არ ისმის. ეს არც დახმარებაა და არც გამოსავალი, რადგან სახელმძღვანელო ბაზარზე უნდა გამოვიდეს, ხოლო ჩვენი კლასიკოსების გარეშე მას არავითარი ფასი არ ექნება.

ბიბლიოგრაფია

დ. ბენაშვილი—„ალექსანდრე ყაზბეგი“

სახელგამი. 1939 წელი.

ალ. ყაზბეგის მდიდარი მემკვიდრეობის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ალ. ყაზბეგის დიადი კლასიკური მემკვიდრეობის საბოლოო შესწავლისა და დაუფლებისთვის არა ერთი და ორი შრომაა საჭირო.

ალ. ყაზბეგი თავისი რომანებით და მოთხრობებით, რაც დრო გადის, უფრო და უფრო იზრდება და იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მაგრამ მისი შემოქმედების შესახებ დღემდე არც ერთი ღირსშესანიშნავი გამოკვლევა არ მოგვეპოვებოდა. ამ ხარვეზს ავსებს დ. ბენაშვილის შრომა „ალექსანდრე ყაზბეგი“, რომელიც ალ. ყაზბეგის შემოქმედების შესახებ ბევრ მნიშვნელოვან საკითხს სვამს და სამართლიანად სწყვეტს კიდეც.

ავტორს ეს შრომა დიდი სიყვარულით და პასუხისმგებლობით დაუწერია, ამასთან მარქსისტულ-ლენინური მეთოდის მომარჯვებით, და იგი, მართლაც, სერიოზული გამოკვლევაა.

ავტორს ალ. ყაზბეგის შემოქმედების გარკვევისათვის ღრმად შეუსწავლია ახალი, ძველი და უძველესი რომანების სახეები და მათთან შედარების საფუძველზე სამართლიანი და სწორი დასკვნა გამოჰყავს. იგი სწერს: „ალექსანდრე ყაზბეგი ერთსა და იმავე დროს ხარკს უხდის როგორც ანტიურ ეპოსს, ისე მე-19 საუკუნის რომანს. ანტიური ეპოსიდან მან მიიღო მისი სახალხო ხასიათი, ხოლო ფრანგული რომანიდან ისწავლა ადამიანის ინდივიდუალურ გრძნობათა გადმოცემის ხერხი. ეს იყო არა მექანიკური შეერთება ორი ელემენტისა, არამედ ორგანიული სინთეზი“.

ავტორი ამ საკითხს სათანადოდ აღრმავებს, რადგან ამ საკითხის სწორად დასმა-გადაჭრაზე ბევრი რამეა დამოკიდებული, და ამბობს: „მართლაც, ალექსანდრე ყაზბეგის რომანები არაჩვეულებრივი მოვლენა იყო მე-19 საუკუნის 80-იან წლებში არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში საერთოდ“ (გვ. 15).

ნაშრომის ავტორი მეთოდიურად სწორად მიდის, როდესაც ყაზბეგის შემოქმედების გარკვევას მისი რომანის თავისებურების განსაზღვრით იწყებს. სხვა მხრივ მართლაც შეუძლებელია ალ. ყაზბეგის შემოქმედების სწორად გაგება და მისი მიკუთვნება რომელიმე მიმართულებისათვის.

ამ საკითხის წინდაწინ გაუთვალისწინებლობა და შეუფასებლობა იყო მიზეზი, რომ კ. აბაშიძემ ალ. ყაზბეგი ნეორომანტიულ მიმართულებას მიაკუთვნა. ეს არა მარტო შეცდომა იყო კ. აბაშიძისა, ეს თავისდა უნებურად და შეუმჩნევლად გამოუვალ წინააღმდეგობაშიაც აგდებდა მას. ამ საკითხის საფუძვლიანად გარკვევა და გადაწყვეტა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა. დ. ბენაშვილი სავსებით სამართლიანად სწყვეტს ამ საკითხს. ის სწერს: „კიტა აბაშიძე ევროპულად განათლებული ადამიანი იყო და ვერ დავსწამებთ უცოდინარობას. მაგრამ ნებით თუ უნებლიეთ იგი სასტიკად სცდება ნეორომანტიზმის განსაზღვრაში. ამ შემცდარი განსაზღვრით აიხსნება ალექსანდრე ყაზბეგის მიკუთვნება იმ ლიტერატურულ მიმართულებისათვის, რომელიც რადიკალურად ეწინააღმდეგება მის შემოქმედებას“ (გვ. 170).

დ. ბენაშვილი მოხდენილად უპირისპირებს ალ. ყაზბეგის შემოქმედებას ნეორომანტიზმს და ამბობს: „ნეორომანტიზმის პირველი თეზა იყო: „შორს ხალხისაგან“; ყაზბეგს კი ხალხის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლიან. ნეორომანტიზმის მეორე თეზაა: „განერიდე რეალურ ცხოვრებას“, ალექსანდრე ყაზბეგი წარმოუდგენელია ჭეშმარიტი ცხოვრების გარეშე. ნეორომანტიზმის მესამე თეზაა: „უმღერე დიდების ჰიმნი ხალხის უარმყოფელს, ხალხისაგან მოწყვეტილ ზეკაცს“. ყაზბეგი უარყოფაა ხალხისა და გმირის ნეორომანტიულ-ნიცშესებური დაპირისპირებისა. ნეორომანტიზმი დასცინის ხალხის განმათავისუფლებელ იდეებს. ალექსანდრე ყაზბეგი კი სწორედ ამ იდეებით ცოცხლობს“ (გვ. 172).

წიგნის ავტორი ალ. ყაზბეგის ნეორომანტიკოსობის უარყოფის შემდეგ უბრუნდება კ. აბაშიძის თვალსაზრისში შინაგან წინააღმდეგობას და მოჰყავს იქიდან შემდეგი ადგილი: „კიტა აბაშიძე „ეტიუდების“ სამოცდა-თექვსმეტე გვერდზე სწერს: „როგორც გინდათ, ისე განსაჯეთ, მაგრამ ყაზბეგის ნაწარმოები ერთი ბეწოთაც არ არის სინამდვილეს დაშორებული, ერთი წუთითაც არ გავიხსენებთ, რომ იქ აღწერილი მოვლენა ბუნების კანონების წინააღმდეგ იყოს. იქ არ არის არავითარი სასწაული, არავითარი მისტიური რამ, არც კაცთა გრძნობის გარეშე არსებული მოვლენებია, და ყოველივე ამით იგი სრულიად რეალური ნაწარმოებია“ (გვ. 174).

წიგნი შემდეგ თავებს შეიცავს: „ალექსანდრე ყაზბეგის პროზა“, „ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც დრამატურგი“ და „ყაზბეგის ესთეტიკა და ეთიკა“. ბოლოში წიგნს დართული აქვს მასალა „ალექსანდრე ყაზბეგის არქივიდან“.

ავტორი ამ ნაშრომის პირველ თავში ალ. ყაზბეგის შემდეგ ნაწარმოებებს იხილავს მხოლოდ: „ხევის ბერ გოჩას“, „მოძღვარს“, „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“ და „ელეონორას“. კარგი იყო, ავტორს მთლიანად განეხილა ყაზბეგის ყველა ნაწარმოები, მეტადრე კი „ელისო“, „ციკო“, „განკიცხული“ და მისი დაუმთავრებელი ნაწერები—„ცხოვრების ჩარხი“ და სხვ.

ყაზბეგის ეს ნაწარმოებნიც უაღრესად მაღალ-მხატვრული ღირსებების მატარებლები არიან არა მარტო ჩვენი მასშტაბით, არამედ უფრო დიდი — მსოფლიო ლიტერატურის — მასშტაბითაც.

ძალიან ვრცლად და მკვეთრად იხილავს ბენაშვილი „ხევის ბერ გოჩას“. მას მთაში შეუსწავლია სათანადო თქმულებანი, მთავარ ხაზებში მოჰყავს კიდეც იგინი და ადარებს მათ ყაზბეგის ნაწარმოებს. აშკარა ხდება, რომ უბრალო ფაბულა დიდი ოსტატის მიერ გარდაქმნილია უმაღლესი სიუჟეტის მქონე ნაწარმოებად. ალ. ყაზბეგი თვით ამბობს, რომ „ეს ამბავი მიამბო სიტყვა სიტყვამდე მოხუცმა გონჯა სულელმა“-ო. მაგრამ ჩვენთვის გარკვეული არ იყო, რამდენად გარდაქმნა ყაზბეგმა ეს ფაბულა.

დ. ბენაშვილი მართებულად დაინტერესებულა ამ საკითხით და მის გასაგებად და გადასაჭრელად თვით ფაბულაც უპოვნია მთაში და ჩაუწერია იგი, როდესაც ადარებ „ხევის ბერ გოჩასა“ და მის ხალხურ ფაბულას, ნათლად ხედავ, თუ რა სიუჟეტურ სიმაღლემდე და ლიტერატურულ სიდიადემდე აუყვანია ავტორს ფაბულა, როგორ ჩაუდგამს მისთვის ცხოველი სული და მიუცია წარმტაცი და მძლავრი სახე.

მეორე ნაწარმოები „მოძღვარი“, რომელიც ადამიანის საიდუმლო გრძნობათა მხარეებს ეხება, კარგად არის გაგებული და შეფასებული ავტორის მიერ.

ასევე მკვეთრად ჩასწვდა ავტორი „ელგუჯას“ შინაგანი გააზრების ძარღვს და სამართლიანად შენიშნავს: „ელგუჯა“ მხატვრულ ენაზე ნათარგმნი პოლიტიკური ტრაქტატია, დამპყრობლების წინააღმდეგ მიმართული“ (გვ. 87).

როგორც თავში ვსთქვით, ავტორი ყაზბეგის ყველა ნაწარმოებს არ იხილავს. მან ძირითადი და უფრო მნიშვნელოვანი შეარჩია. მაგრამ ალ. ყაზბეგის რომელი ნაწარმოები არ არის მნიშვნელოვანი, წარმტაცი და დიადი შემოქმედების სხივის მატარებელი? ცხადია, ყველა მნიშვნელოვანია. თუ რატომ მოიქცა წიგნის ავტორი ასე, ამის შესახებ იგი შემდეგ განმარტებას გვაძლევს: „ჩვენ განვიხილეთ ოთხი მთავარი და ძირითადი ნაწარმოები ალექსანდრე ყაზბეგისა; ოთხივე ზოგადად ატარებს ყაზბეგის მთელი შემოქმედების დამახასიათებელ თვისებებს; მათში კონცენტრირებულია ყველა ძირითადი პრობლემები და ამ პრობლემათა მხატვრული გადაწყვეტა რელიეფურად შემოფარგლავს ყველა მოთხრობებს. ამ თვალსაზრისით თავი შევიკავეთ ყაზბეგის სხვა რომანების კრიტიკული განხილვისაგან, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან უარი ვთქვათ „ელეონორას“ განხილვაზე“ (გვ. 140).

ამრიგად, ავტორს ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა შორის მწვერვალები შეურჩევია და მათ რიცხვში „ელეონორაც“ შეუტანია, რომელიც გამოირჩევა თავისი პრობლემების მრავალმხრივობით და სახეთა გამოსახვის მაღალი ოსტატობის მხრივ. „ელეონორა“ სტილიური და სიუჟეტური გაშლით — სამართლიანად შენიშნავს ავტორი, — ყაზბეგის ერთ-ერთი მთავარი ნაწარმოებათაგანია და მას ორგანიული კავშირი აქვს ყაზბეგის მთელ შემოქმედებასთან. ავტორი სწერს. „ერთი შეხედვით „ელეონორა“ სრულიად განმარტოებით სდგას ყაზბეგის შემოქმედებიდან, თითქოს იგი ერთგვარი გადახვევა იყოს ყაზბეგის შემოქმედების მაგისტრალური გზიდან. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენება ასე; ნამდვილად კი „ელეონორას“ ორგანიული კავშირი აქვს „ელგუჯას“, „მოძღვრის“, „ხევის ბერ გოჩას“, „მამის მკვლელის“ და „ელისოს“ ავტორთან“.

შემდეგ დ. ბენაშვილი ალ. ყაზბეგს იხილავს როგორც დრამატურგს და აღნიშნავს მის დრამატიულ ნაწარმოებთა სუსტ მხარეებს. პირველად ავტორი იხილავს დრამას „კონსტანტინე ბატონიშვილს“ და ასეთი დასკვნა გამოჰყავს: „ამ თვალსაზრისით ალექსანდრე ყაზბეგის ისტორიული დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილი“ არ ეყრდნობა დრამის შენების კანონზომიერების პრინციპს და ამასთან ერთად ზუსტად არ გამოსახავს იმ ისტორიულ პროცესებს, რომლებიც შეიქმნა მე-16 საუკუნის დასასრულსა და მე-17 საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე ქართველი ერის ისტორიაში“ (გვ. 161).

დ. ბენაშვილის ეს შენიშვნა მართებული და ძირითადია, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მას მეორე არაძირითად შენიშვნაში. იგი აღნიშნავს: „რაკი ალექსანდრე ყაზბეგმა ვერ მოძებნა დრამის ნამდვილი საფუძველი, პიესა ფერმკრთალი და შინაგან ფსიქოლოგიურ დრამას მოკლებული გამოვიდა, მაგრამ ამ ნაკლის დასაფარავად ყაზბეგი ცდილობს დიალოგის პათეთიურ კილოზე აშენებას. მართლაც, ყაზბეგის ისტორიულ დრამაში გამოყვანილი ტიპები ძლიერ პათეთიურნი არიან. ავტორი ტიპების სულის ძლიერების ასახვაზე კი არ ზრუნავს, არამედ მათ ვნებათა ღელვის გამოსახვაზე“ (გვ. 161).

ჩვენ პირიქით ვფიქრობთ: ეს ისტორიული დრამა და მისი გმირები, მოკლებულნი არიან არა შინაგან ფსიქოლოგიურ დრამატიზმს, არამედ ისტორიულ დრამატიზმს, რადგან ავტორს ვერ შეუსწავლია თუ ვერ დაუძლევია ეპოქა, მარტო შინაგან ფსიქოლოგიური დრამატიზმით კი ისტორიული დრამის შექმნა შეუძლებელია. ამიტომ ეს დრამა მოკლებულია თავის ისტორიულ პროექციას და მარტოოდენ ძლიერი ვნებათაღელვით და პათეტიკით საზრდოობს და მის არეზე იშლება.

„არსენას“ შესახებ სამართლიანად ამბობს ავტორი: „ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“ არც კომპოზიციით, არც არქიტექტონიკით და არც დრამატიული კოლიზიებით იქცევს მკითხველის ყურადღებას. დრამა იწყება სრულიად მოდუნებული ტემპით და ასე მიდის მოქმედებათა მთელ მანძილზე. ძლიერ კონტრასტების ადგილს აქ იჭერს უბრალო, ხელოვნური კვანძები, რომელთა სიმაგრე კრიტიკის ოდნავ შეხებასაც ვერ უძლებს. რაც შეეხება ალექსანდრე ყაზბეგის ვოდევილს—„დილა ქორწილის შემდეგ“, ჩვენის აზრით, განხილვად არა ღირს“ (გვ. 167).

ავტორს საბოლოოდ სამართლიანი დასკვნა გამოჰყავს. იგი სწერს: „ალექსანდრე ყაზბეგი არ იყო დაბადებული დრამატურგად. იგი თავის პიესებით მხოლოდ დროს უხდიდა ხარკს. „ვხედავ, რომ ჩვენს თეატრს რეპერტუარი აკლია და ვცდილობ დაუწერო რამ“, — ასე ამართლებდა ყაზბეგი თავის მუშაობას დრამატურგიაში. ის დღიური მუშაკი იყო თეატრისა და არ იბრძოდა უკვდავებისათვის ამ დარგში. პროზა იყო ამ ადამიანის სტიქია და აქ შთაინთქა მისი დიდი შემოქმედებითი ენერგია“ (გვ. 168).

ასეთ ძირითად დებულებებს ატარებს დ. ბენაშვილი თავის შრომაში ალ. ყაზბეგის შემოქმედების შესახებ. ეს წიგნი სერიოზულ შრომად უნდა ჩაითვალოს ყაზბეგის შესწავლის საქმეში.

პოლ. ცინცაძე.

რესპუბლიკური თათბირი საბავშვო ლიტერატურის საკითხების ირგვლივ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, თებერვლის შუა რიცხვებში მოწვეული იქნება რესპუბლიკური თათბირი საბავშვო მხატვრული ლიტერატურის საკითხების ირგვლივ. თათბირზე მოწვეულ იქნებიან მწერლები, პედაგოგები, კომკავშირის ც. კ-ის, საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობისა და გაზეთების წარმომადგენლები.

თათბირზე განხილული იქნება როგორც წიგნებისა და საბავშვო ჟურნალ-გაზეთების, ისე საბავშვო მხატვრული ლიტერატურის საკითხები. განიხილავენ აგრეთვე საბავშვო ლიტერატურის 1940 წლის საგამომცემლო გეგმას.

მწერალთა კავშირში ახალი წევრების მიმღები კომისია

მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა გამოჰყო კავშირში ახალი წევრების მიმღები კომისია. კომისიას ევალება მიიღოს განცხადებები, შეაგროვოს და შეისწავლოს მასალა ცალკეულ მწერალზე და საკითხი მათი კავშირის წევრად მიღების შესახებ დასვას პრეზიდიუმის სხდომაზე.

კომისიაში შედიან: ს. ეული, შ. დადიანი, გ. ლეონიძე, ლ. ქიაჩელი, ბ. ჟღენტი, ალ. გომიაშვილი, კ. კალაძე და ელ. პოლუმორდვინოვი.

კონკურსი ერთმოქმედებიან პიესაზე

დასრულდა საკავშირო კონკურსი ერთმოქმედებიან პიესაზე. ეს კონკურსი გამოცხადებული იყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ. კონკურსზე წარმოდგენილ იქნა 5.000-მდე პიესა, დაწერილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე.

ავტორთა უმრავლესობას დამწყები დრამატურგები შეადგენენ. ისინი სხვადასხვა სპეციალობას ეკუთვნიან. არიან მათ შორის მასწავლებლები, წითელარმიელები და სხვ.

წარდგენილი პიესები დაწერილია საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებიდან აღებულ მრავალფეროვან თემებზე.

ჟიურიმ, რომელშიაც შედიან კ. ტრენევი, ი. მოსკვინი, ვ. ბარსოვა, პაშენნაია, ს. ბირმანი, ვ. კუზა და თეატრის სხვა თვალსაჩინო მოღვაწენი, 25 იანვარს უკვე დაამთავრა ფინალში გასული პიესების კითხვა.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება თებერვლის პირველ რიცხვებში. პრემირებული პიესები გამოიცემა. მათ გარდა გამოიცემა ასი, სხვა უფრო ღირსშესანიშნავი პიესა.

გ. ერისთავის თეატრი

თეატრალური მუზეუმი აგროვებს მასალას მორიგი გამოფენისათვის. ეს გამოფენა მიეძღვნება „გიორგი ერისთავის თეატრს“. მუზეუმს უკვე მოეპოვება მრავალი ექსპონატი, რომლებიც საინტერესო მასალას წარმოადგენენ ამ თეატრის ისტორიის შესწავლისათვის (მსახიობთა პორტრეტები, წერილები და სხვა).

თეატრალური მუზეუმის განკარგულებაშია ხუროთმოძღვარ სკუდიერის პროექტი „თბილისში, ერევნის მოედანზე, ასაშენებელი ქვის თეატრის ფასადისა“. ეს თეატრი აგებულ იქნა 1851 წელს. იქ იმართებოდა გ. ერისთავის დასის წარმოდგენები.

ახალი წიგნები

სვანური სიმღერების კრებული

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა გამოსცა სვანური სიმღერების კრებული—„სვანური პოეზია“. კრებულისათვის მასალა შეჰკრიბეს პროფ. აკ. შანიძემ, პროფ. ვ. თოფურიამ და მ. გუჯეჯიანმა.

კრებულში მოთავსებულია ხალხური ზეპირსიტყვაობის ნიმუშები და სვანეთში გავრცელებული სიმღერები, რომლებიც სხვადასხვა დროს შეუგროვებიათ და ნაწილობრივ გამოუქვეყნებიათ კიდეც.

სიმღერების დიდი ნაწილი ქვეყნდება პირველად და წარმოადგენს ძვირფას მასალას როგორც ქართველური ენების შესასწავლად, ისე სვანეთის ეთნოგრაფიისათვის.

კრებულში დაბეჭდილია 150 სიმღერა, რომლებსაც დართული აქვს ქართული თარგმანი.

წიგნში თავმოყრილი მასალა დალაგებულია ციკლების მიხედვით: საისტორიო, საყოფაცხოვრებო, სარწმუნოებრივი, თანამედროვე და სხვ.

კრებულს წამძღვარებული აქვს პროფ. ა. შანიძის და პროფ. ვ. თოფურიას წინასიტყვაობა და დართული აქვს შენიშვნები.

წიგნი შეიცავს 16 ნაბეჭდ ფურცელს და ღირს 14 მან.

ისტორიული საბუთები ევდოშვილის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა გამოსცა დოც. **შ. ჩხეტიას** წიგნი „ისტორიული საბუთები ევდოშვილის შესახებ“. წიგნი შესდგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოთავსებულია შ. ჩხეტიას ნარკვევი ევდოშვილის საზოგადოებრივი და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ და შეიცავს შემდეგ თავებს: ევდოშვილის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში, ოფიციალური საბუთები ი. ევდოშვილის შესახებ, სხვა დოკუმენტალური წყაროები ევდოშვილის შესახებ, ევდოშვილი 1905-იან წლებამდე, ევდოშვილი 1905-იან წლებში, ევდოშვილი 1906-7-იან წლებში, ევდოშვილის დაპატიმრება და წინასწარი გამოძიება, ევდოშვილის გასამართლება და მეტეხის ციხე, ევდოშვილის გადასახლება, ევდოშვილის დაბრუნება გადასახლებიდან; მეორე ნაწილი შეიცავს დღემდე უცნობ დოკუმენტებს ევდოშვილის შესახებ. ეს დოკუმენტები ამოკრებილია „ოხრანკის“, ჟანდარმერიის, პოლიციისა და სასამართლო პალატის არქივებიდან. წიგნი 120 გვერდია. ღირს 12 მანეთი.

„ენგური“

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა ალიო მაშაშვილის „ენგური“. თარგმანი შესრულებულია ე. შერის მიერ. წამძღვარებული აქვს დ. ბენაშვილის წინასიტყვაობა.

წიგნი გამოცემულია ლამაზად და ღირს 4 მან. 50 კაპ.

„ბელორუსული ნოველები“

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა რაჟდენ გვეტაძის „ბელორუსული ნოველები“. წიგნში მოთავსებულია ორი ნაწარმოები — „მახრა“ და „სკირგაილო“. თარგმანი ეკუთვნის კ. ჩერნიავსკის.

წიგნი შეიცავს 70 გვერდს და ღირს 80 კაპ.

„მნათობი“ № 10—11

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ჟურნალ „მნათობის“ №10—11. ჟურნალის ამ ნომერში მოთავსებულია მეთაური „ოქტომბრის 22 წლისთავი“.

მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში დაბეჭდილია: ალექსანდრე ქუთათელის „შეხვედრა“ (მოთხრობა), პავლო ტიჩინას „ლაღლაყა და ქერა“ (თარგმ. იასამანისა), რევაზ მარგიანის „ნოემბრის თოვლი“ (ლექსი), იაკინთე ლისაშვილის „ძახილი მთაში“ (რომანი, დასასრული), სოლომონ თავაძის „გმირთა დიდება“ (პოემა), ლადო ბალიაურის „ბერდი უსაჯური“ (მოთხრობა), კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადი“ (გაგრძელება), მ. ლერმონტოვის „სამშობლო“ (თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა), მ. ლერმონტოვის „მომაკვდავი გლადიატორი“ (თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა), მ. ლერმონტოვის „პოეტი“ (თარგმ. კ. ნადირაძისა), მ. ლერმონტოვის „გავდივარ გზაზე“ (თარგმ. მ. პატარიძისა), მ. ლერმონტოვის „შენი თვალები ცასა ჰგავს მჭზნებარს“ (თარგმ. ა. სიჭინავასი).

ლიტერატურისა და თეორიის განყოფილებაში მოთავსებულია პავლე ინგოროყვას „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“ (გაგრძელება).

განყოფილებაში „წარსულიდან“ დაბეჭდილია თედო სახოკიას „ციმბირში“.

ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია ბ. ჟღენტის წერილი „კარლო კალაძის რჩეული ლექსები“.

„მნათობი“ № 12

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდებათ საქართველოს საბჭოთა მწერლების ყოველთვიური ჟურნალის „მნათობის“ მე-12 ნომერი. ეს ნომერი მთლიანად მიეძღვნა ხალხთა ბელადს — დიდ **სტალინს** მისი დაბადებიდან სამოცი წლის შესრულების გამო.

ჟურნალში მოთავსებულია ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** წერილი „თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი“, საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი, ფილიპე მახარაძის „დიდი პროლეტარული მესაჭე“, ალიო მაშაშვილის „დაბადება“ (ლექსი), ალექსანდრე გომიაშვილის „ბაზალეთის ტბა“ (ლექსი), კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგია „ბელადი“ (დასასრული), ირაკლი აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი“, (პოემა), სიმონ ჩიქოვანის „შენ უკვე იყავ მაშინ სტალინი“ (ლექსი), ილო მოსაშვილის „ბელადის სახლი“ (ლექსი), დემნა შენგელაიას „ყრმობა“ (ცალკე თავები მოთხრობიდან), კარლო კალაძის „ბარათი“ (ლექსი), ლეო ქიაჩელის „სტალინი“ (ესკიზი), ნატა ვაჩნაძის „დაუვიწყარი დღე“, მიხეილ ჭიაურელის „ბელადთან შეხვედრა“, ბესო ჟღენტის ბიბლიოგრაფიული წერილი დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ქართველ მწერალთა კრებულის „ბელადის“ შესახებ.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 1426